645
1982/3



ISSN 0321-150ხ

# საქართველოს ქალი

12
1982



სურათზე: ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემა.
ო. თურქიასა და გ. კიკვაძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ხუტა ბერულავა

# ძმობა ვადიდოთ, ძმობა...

და დღეს, როდესაც ვზეიმობთ ერთად,
და როცა ჩვენი სამშობლო ხარობს,
და როცა დიდი კავშირი ერთა
პლანეტას აძლევს სიცოცხლის წყაროს, —

იმედიანად შევყურებთ მერმისს
და ახალ წელსაც იმედით ვხვდებით!
თუმცა გზა გვიდევს დიდი და ძნელი,
გული სავსეა მზიანი ხმებით.

მომავლის ტაძარს ვაგებთ გულმშვიდად,
ლხინიც ერთი გვაქვს, ფიქრიც საერთო,
წინ მივიჩქარით ერთად, უშიშრად
და ნუ გვამყოფოს უერთმანეთოდ!

ძმობა ვადიდოთ, ძმობა, ნიადაგ,
მხარდამხარ დავდგეთ, ვითარცა მთები,
ამაღლებულმა ადამიანმა
რომ უფრო მძლავრად გაშალოს ფრთები!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17486



# დიადი სამოცი წელი

წლეულს 30 დეკემბერს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს აღვნიშნავთ. სწორედ ექვსი ათეული წლის წინათ შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც წილად ხვდა ერთიან და მტკიცე ოჯახად შეეკავშირებინა თანასწორუფლებიანი რესპუბლიკები, დაერაზმა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის გარშემო და მიეღწია ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობისათვის.

საბჭოთა კავშირის შექმნა ლოგიკურად აგვირგვინებს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, მადლს მატებს იმ სიკეთეს, რომელიც ოქტომბერმა საბჭოთა ხალხს მოუტანა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობამ, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებამ ყოველგვარი პირობა შეუქმნა ერებისა და ეროვნებების თავისუფალ განვითარებას, მათ ინტერნაციონალურ შეკავშირებას.

დიდ ლენინს, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის ინიციატორი და მოთავე იყო, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ამ რესპუბლიკებში მცხოვრებ ხალხთა სწორედ ასეთი შეკავშირება მიაჩნდა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საიმედო გარანტიად. ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც დღეს განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სათავეს სწორედ იმ ლენინური დებულებებიდან იღებს, რომ ჩვენი რესპუბლიკების კავშირის სიმტკიცის საფუძველია ნებაყოფლობითი თანხმობა, ერთმანეთისადმი ნდობა და ერთა სრული თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

დრომ ჩინებულად დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა ხალხების ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანება ამრავლებს მათს ძალებს, ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის აღმავლობას. მართლაც, ძნელია ისტორიაში მოინახოს მეორე ისეთი მაგალითი, როცა დროის სულ მცირე მონაკვეთში რომელიმე სახელმწიფოს ასე ბევრი რამ გაეკეთებინოს თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

209

საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველმა ააშენა განვითარებული სოციალიზმი, რომლის დროსაც ნათლად წარმოჩნდა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საერთო-სახალხო ხასიათი. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების დიადი პროგრამა, რომელიც ამ ბოლო წლებში დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით, ითვალისწინებს საარსებო საკითხების — მშრომელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მატერიალური დოვლათის განუხრელი ზრდის, საბინაო მშენებლობის განვითარების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის წარმატებით გადაწყვეტას.

სამოცი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც აქვს განვითარებული სოფლის მეურნეობა, მსოფლიოში მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

დღეს საბჭოთა კავშირში — განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში წარმატებით ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის მატერიალური საფუძველია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სწორი



კ. მარქსის სახ. ს. სსრ
სახელმწიფო ბიბლ.
ბიბლიოთეკა

პოლიტიკის შედეგად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას ქვეყნის ეროვნული დოვლათის შექმნაში თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვს. ყოველწლიურად ფართოვდება რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთობა. მოკავშირე რესპუბლიკები უფრო და უფრო აქტიურად მონაწილეობენ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

განვლილი სამოცი წელი საბჭოთა კავშირის მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერიოდია. მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი ამ პერიოდში მრავალჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ პარტია და ხელისუფლება ნიადაგ ზრუნავენ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, ეხმარებიან მათ წარმატებით გადაწყვიტონ ეკონომიკურ-კულტურული მშენებლობის ამოცანები, არ დაუშვან გადახრა კომუნისტური თანაცხოვრების ლენინური პრინციპებიდან. ამ ათიოდე წლის წინათ, როცა საქართველოში თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენებმა და გამოვლინდა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის ფაქტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მხარი დაეჭირათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობისათვის, რათა რესპუბლიკაში ძირეულად გაჯანსაღებინა ვითარება, განემტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დაეხმარებოდით მშრომელებს უფრო წარმატებით გადაეწყვიტათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები. ამ მხარდაჭერამ და ზრუნვამ, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისა და ჩვენი ეკონომიკურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის საქართველოს კომუნისტების ბრძოლამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ საქართველომ აღიდგინა შებღალული სახელი, თვალსაჩინოდ გაიზარდა ზოგად-ეკონომიკური მაჩვენებლები. ეროვნული შემოსავალი და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1971 წელთან შედარებით 1,9-ჯერ გადიდდა, ხოლო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა საშუალო საკავშიროს გაუსწრო.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის შარშანდელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საქართველომ კარგად დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედიც.

ასეთია დიდ, სრულუფლებიან ოჯახში წევრად გაერთიანების ძალა და სიკეთე.

ნოემბერში საბჭოეთი დიდი მწუხარებით გამოეთხოვა თავის ერთგულ შვილს, მგზნებარე კომუნისტს, მშვიდობის დაუცხრომელ მებრძოლს ლ. ი. ბრეჟნევს. ჩვენი დიდი ქვეყნის მშრომელები ამ ძნელბედობის ჟამს კიდევ ერთხელ მტკიცედ შემჭიდროვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას, ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების სასიცოცხლო ინტერესებისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი რაზმის — საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია შრომითი ნობათებით, ახალი წარმატებებით ხვდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. ამას წინათ ეს ხაზგასმით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

დიდად საამაყოა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მათი ღვაწლის ასე შეფასება.

**სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილე საყოველთაოსახალხო დღესასწაულია და საქართველოს მშრომელებიც სიხარულით ეგებებიან ამ დიდ ზეიმს.**

ნოდარ ჯაველიძე



# სვანი დაუბრუნდა სოფელს

1981 წელს დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, დიპლომი მიიღო და შინ დაბრუნდა. ასპირანტურაში დარჩენას სთავაზობდნენ, მაგრამ გულმა მთებისაკენ გამოუწია.

ლენტეხის რაიონის ჩოლურის მეცხოველეობის მეურნეობის სამი განყოფილება აბარია მთავარ ვეტექიმს მარინე ლიპარტელიანს — ლევუშერის, თეკალისა და საყდრისა. სოფელ თეკალშია ლათორაშის მეძროხეობის ფერმა. მთის ჩანჩქერს ზურგი უნდა აქციო და ორხიდიანი მანქანით მაღლა აუყვე მთის მდინარეს, ქვებს და ლოდებს რომ მიაგორებს უსწრაფესად. ალბათ ამიტომ ჰქვია ცხენისწყლის ერთერთ შენაკადს, სისუფთავისაგან სიმწვანეშეპარულ შენაკადს რაჩხა.

როგორც კი გამოზაფხულდება, მეურნეობის ნახირს ლათორაშისა და ლატფარის იალაღებისკენ მიჰყვებიან მეცხოველეები — ზინა ზურაბიანის ქალები — მწველავები და მომვლელები. ფერმა მთაშია, ზედ კორტოხზეა. გვერდით ლობემომოვლებული სადგომია, — თივით გამოვსებულ ბაგაში აბაკუნებენ ფეხებს ფურები, მეორე მხარეს კი ზინა ზურაბიანის ბრიგადის წევრები ცხოვრობენ: გვადა ლიპარტელიანი, ვენერა სადილიანი, ლუიზა, რიმა, მარინე და მანანა მუკბანიანები, მზია ზურაბიანი, ნათელა ონიანი, ეთერ ხაბულიანი...

ლათორაშის ფერმაში ასვლა განსაკუთრებით მიყვარს. რაღაც სახლივით არისო, — ლენტეხში მითხრა მარინემ და მართალიც იყო. მართლა სახლივით არის დაკრიალებული ზინა ზურაბიანის ფერმა. თვალს მოგტაცებთ თუნუქის დახეხილი ჯამები და ბიდონები, გაქათქათებული დოლბანდები და ყველის ამოსაყვანი ხის დერგები, პრიალა საწურები და რძიანი სულგუნები. გეამებათ დილა-საღამოს საქონლისა და ახალმოწველილი რძის სუნი. ათი რკინის საწოლი ჩამწკრივებულა. კედლებზე ვეებერთელა ლურსმნები მიუჭედებიათ, ლურსმნებზე კაბები, ხალათები და ქათქათა პირსახოცები ჩამოუკიდებიათ... ლოგინზე გარმონი დევს, მანანა მუკბანიანის და ვენერა სადილიანის ბალიშებზე მეათე კლასის ქიმია-ბიოლოგიის სახელმძღვანელოებია მიყრილი...

250 სულ საქონელს წამლობს მარინე ლიპარტელიანი. 50 ხბო და 153 ფური ჰყავს მისახედავი, აქედან 106 ინველება.

დღეს რომ ლენტეხის რაიონის მეცხოველეობა აღმავლობის გზაზეა და სასიკეთო ცვლილებებიც არის მეურნეობაში, ამაში



ვ. მაჩაბლის ფოტო

დიდია ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველე ქალების წვლილი. შარშან მეურნეობამ საქონლის, მათ შორის ფურების სულადობის წლიური დავალება წარმატებით გაანაღდა, რძის წარმოებამ 4541 ცენტნერი შეადგინა და ეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრების რიმას, მანანას, მარინეს და ლუიზას ღვაწლიც იყო. ასე მოხდა წლეულსაც: გეგმური 1544 ცენტნერის ნაცვლად 1859 ცენტნერი ანუ 415 ცენტნერით მეტი რძე აწარმოეს. ერთ ფურზე საშუალოდ 12,2 ცენტნერი რძეა მიღებული.

ლათორაშელებმა წარმატებით შეასრულეს მე-11 ხუთწლედის მეორე წლის გეგმა-ვალდებულებები. ისინი, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, ყოველდღიურად ფერმაში 80-90 კილოგრამით მეტ რძეს იღებენ — სწორედ ამიტომ არის, რომ ზინა ზურაბიანის ფერმის წევრებმა ივალდებულეს შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წლეულს ყოველდღიურად 100 კილოგრამით მეტი რძე მიილონ. ეს კი წელიწადში 30 ტონაა, საშუალოდ კი ერთ ფურზე — 240 კილოგრამია.

ლათორაშის ფერმის ახალგაზრდულმა ბრიგადამ თქვა თავისი სიტყვა: ერთმანეთთან სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაებნენ ინეზა ზურაბიანი და მანანა მუკბანიანი, რიმა მუკბანიანი და დოდო მუკბანიანი, ვენერა სადილიანი და ეთერ ხაბულიანი. მანანამ შეჯიბრებაში ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწველავი დარეჯან ჯანხოთელი გამოიწვია, ნათელა ონიანმა — ლენტეხის მეურნეობის ფერმის მწველავი ადელიკო ტვილდიანი, გვადა ლიპარტელიანმა — ჩიხარეშელი დოდო ზურაბიანი, ეთერ ხაბულიანმა — დარიკო დევდარიანი.

ზინა ზურაბიანის ფერმის კოლექტივი ლენტეხის საბჭოთა მეურნეობის ბაბილის ფერმის კოლექტივს ეჯიბრება.

რაიონის ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს ამ ახალგაზრდების ინიციატივას — გაზარდონ წველადობა. და ფერმას საიალალო პერიოდისათვის საძოვარი გამოეყოფა ჩიხარეშის ან ჭახუნდარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. ამაღლდება ვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურების დონე, შეუფერხებლად მომარაგდებიან კომბინირებული საკვებით და სხვა საჭირო საშუალებებით. საკავშირო კომკავშირის მე-19 ყრილობის დელეგატი, მთავარი ვეტექიმი მარინე ლიპარტელიანი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გოგონებმა სიტყვა საქმედ აქციონ.

რუსუდან ნიკურაძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომბინატის დირექტორი მ. იოსელიანი და საამქროს უფროსი ჯ. მათიაშვილი



მოწინავე მუშა მარო კახეთელიძე



სუნელ-სანელებლების საამქრო.

# შემოდგომის ფერები

გაზაფხულმა პირველი მოსავლით სავსე კალთა როცა დაიბერტყა, ცეკავშირის მარნეულის საკონსერვო კომბინატში შეაგზავნა ბალი და ალუბალი, ატამი და ტყემალი. ახმაურდა საამქროები. დატვირთვით ამუშავდა მანქანები, დამზადდა და დაიხურა ალუბლის, ბლის კომპოტები, მურაბები, კონცენტრირებული ხილის წვენები.

ზაფხულში მუშაობა გაძლიერდა. 800 ტონა პამიდორი მუშავდებოდა დღე-ღამეში. პამიდვრის პასტა და აჯიკა, არომატული და ვიტამინებით სავსე მაღალხარისხოვანი პროდუქტები, დიასახლისებისათვის ისოდენ სასურველი, უცხოეთშიც გაიგზავნა.

ცეკავშირის კომბინატის სიახლეა ნიორი ტაბლეტებში, რომელიც განსაკუთრებით ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში გამოიყენება, რადგან არ ფუჭდება და გზას და სიშორეს ადვილად იტანს.

მწვანე პამიდვრის და კაკლის მურაბა ხომ უზადოდ შეზავებული და საამო მისართმევია.

შემოდგომაზე ციტრუსები შემოანათებენ ნარინჯის ფერებში, მანდარინის ჯემი და პავიდლო, ციტრუსისაგან დამზადებული კონცენტრირებული წვენები სურნელებით აავსებენ მყუდრო ბინებს.

ყველაზე მოსაწონი და თვალშისაცემი საამქროებში შესვლისას თითქმის სრული მექანიზაციაა. სამამულო თუ უნგრული მანქანები ადამიანებს ძალზე უადვილებენ შრომას, ხშირად სრულიად ათავისუფლებენ მძიმე პროცესებისაგან და ჭკვიანად აკეთებენ თავიანთ საქმეს. ქარხნიდან მუშა დაღლილი არასოდეს არ მიდის შინისაკენ. პირიქით, ის ხალისიანი ტოვებს საამქროს.

იყო დრო, როცა აქ წელს იწყვეტდნენ ქალები მძიმე ქილებით სავსე ყუთების გადატანით, იყო დრო, როცა სხვა საამქროებშიც დიდი ჯაფა აწვა ხელებს, დაღლილი სახეები ულიმილოდ ეგებებოდნენ გაცრეცილი დღის შუქს ქარხნის კარიბჭესთან, შინისაკენ სავალ გზაზე. ეს ვიღას ახსოვს ახლა! ჯაჭვური ტრანსპორტიორი ხელს არ აკიდებინებს ქალებს ყუთებზე, რომლებიც თვითონ იტვირთება და გადადის საამქროდან მანქანებზე.

პირველ რიგში დირექტორი უნდა მოვიხსენიოთ, საქმისათვის თავდადებული პიროვნება, რომელიც მუდამ იმის ძიებაშია, რა დანერგოს, რა გააუმჯობესოს, როგორ ამუშაოს მანქანები, როგორ დაზოგოს ქალების ჯან-ღონე. მიხეილ იოსელიანი ასეთი კაცია. ის მოუსვენარი ბუნებისაა. ერთ საქმეს რომ ასრულებს, ვთქვათ უცხოურ მანქანას მართავს და თავისი გაუმჯობესებებით სხვა საქმისათვისაც იყენებს, ახლა მეორე, მესამე იდეას ამუშავებს, მაგრამ ისე, რომ სულ მალე მასაც ხორცს ასხამს. ბევრი დანადგარი მისი და მისი კოლექტივის ძიებით ჩადგა მწყობრში. საამაყოა, რომ მიხეილ იოსელიანი საუკეთესო რაციონალიზატორადაც ითვლება და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედალსაც ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამომავლოდ მიხეილ იოსელიანს იმდენი გეგმა და იდეა აქვს, რომ ყველაფერს არც ამბობს. პირველი, რაზეც ფიქრობს, ქართული მაგარი სასმელის „თამარისის“ დამზადებაა. მას დაამზადებენ ხილისაგან მიღებული სპირტისა და ჩაის კონცენტრატისაგან. მისი ავტორები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ს. დურმიშიძე, თავად მ. იოსელიანი, მისი მოადგილე წარმოების დარგში თ. ქავთარაძე, ტექნიკური ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე გ. ფრუიძე, სამტრესტის მმართველის მოადგილე მ. ზაუტაშვილი.

ცეკავშირის მარნეულის საკონსერვო კომბინატი ლამაზ ბოთლებში სუვენირების სახით ჩამოასხამს ქართულ ღვინოებს — ოჯალეშს, ჩხავერს, ხვანჭკარას, ალადასტურს, ოცხანურის საფერეს.

განზრახულია მეორეხარისხოვანი ჩაისა და მისი ნარჩენებისაგან ჩაის ფხვნილის მიღება. ამ სიახლეების ხორცშესასხმელად მუშაობა წარმოებს, ახალი საამქროები შენდება და მშვენდება.

მარნეულელებს თავმოსაწონი კიდევ იხ აქვთ, რომ ნარჩენების უდანაკარგოდ გადამუშავებას ახდენენ. პამიდვრის კანისა და თესლისაგან ამზადებენ მეცხოველეობის კომბინირებული საკვების ერთ-ერთ კომპონენტს — გამომშრალ ფქვილს. ფიქრობენ ამ წესით გამოიყენონ ვაშლის ნარჩენებიც.

მათ უფლება აქვთ განრიგისა და ფონდის გარეშე მიიღონ მეცხოველეობის ეს ძვირფასი კომპონენტი იმ ორასი სული ღორის გასასუქებლად, რომლებიც დამხმარე მეურნეობაში ჰყავთ.

მექანიზაციის ფართოდ გამოყენების გამო კომბინატში მუშა-ხელი მცირეა. საამქროებში შეხვდებით აზერბაიჯანელ გოგონებს, ქართველებს, რუსებს. ეს ადამიანები მანქანებს ამოდგომიან გვერდში, იღებენ და ამუშავებენ მზის სხივებით მოხატულ, ჩამტკბარ ქართულ ხილს. ლამაზი ეტიკეტიანი ქილები დინჯად გადმოდიან მანქანებიდან და ემშვიდობებიან მანდილოსნებს.

მზის სხივები, ოქროსფერი შუქი, შემოდგომის ფერებია მწყობრში ჩამდგარ მანქანებთან, სინათლით სავსე საამქროებში.

ლია ნინიძე

# მეგობრობის საგალობელი

მერიკა ბარათაშვილი



როგორც თვალი შორს,
ისე გულიცო...
სადღაც, ოდესღაც
უთქვამს წინაპარს.
ვინ მოატყუა,
გააგულისა,
ვინ უღალატა წლების წინათა?
რატომ გაანდო უღირსს გულისთქმა,
ან გული რატომ გაუწილადა?
როგორც თვალი შორს,
ისე გულიცო,
არა, არ უთქვამს
სწორად წინაპარს!

სულ სხვას ამბობენ
ეს ბარათები,
ცხრამთას იქიდან
მოფრენილები...

იმდენ სინათლეს შემომაფრქვევენ,
აიკრიფება მცირე ჩრდილებიც.
ზედ მაგიდაზე შემოსხდებიან,
მომიკითხავენ,
ამბავს ჰყვებიან,
ჩემს სასთუმალთან ათევენ ღამეს,
ჩემთან წვებიან,
ჩემთან დგებიან.
...წაიმძღვარებენ პასუხად პწკარებს
და უმალ ცაში აფრინდებიან.
როგორც თვალი შორს,
ისე გულიცო, —
არა, არ უთქვამს
სწორად წინაპარს!
რა ვქნათ, თუ ვინმე გააგულისა,
სადღაც,
ოდესღაც,
წლების წინათა?

რას ჰქვია „შორი“,
რა არის სივრცე,
მეგობრობისთვის რაა მანძილი?
ასე მგონია, სუნთქვაც კი ვიგრძენ,
ჩემთან რომ მოჰყვა
ბარათს ამ დილით.
ვიგრძენი თქვენი ხელის შეხებაც,
შემონათებაც — მოლურჯო თვალთა...
არ მიგულოო ფიცის მტეხელად!
სთქვით
და დადექით სამოყვრო კართან.
და მე, ო, მაშინ ვინატრე ასე:
ვიყო ისეთი განძის მფლობელი,
რომ მეთქვას
ხალხთა ყველა ენაზე —
ამ მეგობრობის
საგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





გალაკტიონი დედასთან და ძმასთან ერთად

# გალაკტიონი ისევე მშვენიერია, როგორც საქართველო

გალაკტიონ ტაბიძე გალაქტიკაა, თვალისმომჭრელი კამკამა სიღრმეა პოეზიის ზეცისა. წლეულს ოთხმოცდაათი შეუსრულდა მას, კაცს, პოეტს, რომელიც სიცოცხლეშივე მოესწრო თავის უკვდავებას, სჯეროდა ამ უკვდავებისა და თავისი მაღალი სივრციდან დაგვყურებდა შემწყნარებლურად, მოთმინებით. იცოდა: საუკუნეები ედო წინ მის პოეზიას, მის ლექსს, რომელსაც მთელი არსებით ეძლეოდა. იგი დადიოდა როგორც ცოცხალი ლეგენდა, და მის მოთაყვანე ახალგაზრდობას სწვავდა აუხდენელი სურვილი მთხვეოდნენ ხელზე, მკერდზე... ამ ხელმა „მერი“ დაწერა, „ლურჯა ცხენები“ და „მესაფლავე“ გააცხადიერა. ამ გულმა „მთაწმინდის მთვარე“ ატარა, „მე და ღამე“ ამოიწვდინა: „იცის როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვენამე“. ეს ვნება და წამებაც რჩეულთა ხვედრი ყოფილა მარად, თორემ რევოლუციის ქარიშხლისა და გრიგალთა პოეტს კაცურ ცხოვრებაში არაფერი უნდა შეჭირვებოდა. აკი თავადაც კაცურად, ვაჟკაცური მშვენებით სავსე მიმოდიოდა დედაქალაქის ქუჩებში. იგი ლამაზი იყო, და ესეც მიგვიხაროდა, ბრგე, მზემოკიდებული ქართული სახის კაცი, გაშლილი შუბლი... სწორედ მას უნდა შეექმნა თითქოს ჩვენგან გალმერთებული სტრიქონები. განსაკუთრებით გვიყვარდა მისი ახალგაზრდობის სურათი: შროშანივით დარხეული ყმაწვილი კაცი, გულის ჯიბეში თეთრი ყვავილით, ოცნების სიღრმეში წასული თვალებით...

საოცარი და მაინც კანონზომიერია მისი მოსვლა საქართველოში, მისი შემოქმედების ქართულად გახმიანება. კანონზომიერია იმიტომ, რომ სულმნათი შოთა რუსთაველის განშტოებაა, ჭაბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილის სულის დიდი მემკვიდრეა. საოცარია იმიტომ, რომ მაინცდამაინც მარადიულმა პოეტურმა სულმა ქართულ ნიალში დაივანა და გალაკტიონის სახით მოგვევლინა, ჩვენდა საბედნიეროდ. თორემ გალაკტიონით იამაყებდა ყველა რომელიც გნებავთ ქვეყანა, რომელიც გნებავთ ხალხი — ამ პლანეტაზე. ამიტომ გვმართებს უდიდესი მადლობა პოეზიის დედისა, ტობანიერის თემისა, ტაბიძეთა გვარისა! მერე რა ლამაზად, რა მაცდუნებლად ჟღერს თობალ-თუბალი ამ გვარში, ამ სახელდებაში!

გალაკტიონ ტაბიძე ესაა გალაქტიკა, ესაა თვალისმომჭრელი კამკამა სიღრმე პოეზიის ზეცისა; გალაკტიონი ესაა რიონის პირას გატარებული ბავშვობა, „მეფის ქალაში“ ალტაცებული სრბოლა; გალაკტიონი ესაა პატიოსანი ქართველი დედის მიერ ქვრივ-ობლობაში აღზრდა-დაჭაბუკება. ამიტომ გვმართებს მონიწებული თაყვანისცემა მაკრინე ადეიშვილის ქალისადმი, ორი საუკეთესო შვილი რომ აღუზარდა საქართველოს: ბრწყინვალე პედაგოგი და მოქალაქე აბესალომ (პროკლე) ტაბიძე და დიდი გალაკტიონი! გალაკტიონის დედა — დღიური შრომით დაღლილი, მთვარემომდგარ აივანთან ჩამომჯდარი უკრავდა ჩონგურს და პატარა გალაკტიონს ჩააგონებდა: „უსმინე, უსმინე, ჩონგური როგორ ლაპარაკობს“! ამ ჩონგურიდან იწყება თითქოს ის ქნარი: „მაქვს, მკერდს მიდებული ქნარი როგორც მინდა!..“

ამ საიუბილეო წელს მრავალი რამ დაიწერა უკვდავი გალაკტიონის შესახებ, მრავალი ლექსი მიეძღვნა. მათში გამორჩეულად საინტერესოა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მწერალთა დიდი მეგობრის, ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის „სიტყვა გალაკტიონზე“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წ. 2 დეკემბერი). ეს სიტყვა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მაღალი წვდომით გაშუქებული ცხოვრებაა კაცისა, პოეტისა, ლეგენდისა, რომელმაც წასვლის დღიდანვე გაინათა გზა უკვდავებისკენ, ამიტომაც მთელი გულით ვუერთდებით და ვიმეორებთ:

„გალაკტიონი ისევე ამოუწურავია, როგორც ხალხის სული, გალაკტიონი ისევე უკვდავია, როგორც მისი მშობელი ხალხი, გალაკტიონი ისევე მშვენიერია, როგორც საქართველო!

დიდება მის სახელს და პოეზიას!“.

ნაზი კილასონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## გალაკტიონ ტაბიძე

### გახსოვს?

გახსოვს, როცა შეხვდნენ, მერი,
ზღვად შენი და ჩემი ნავი? —
ნორჩთა დღეთა გულთმიერი
მიარხევდა წყალს ნიავი.

შენ ციმციმი თვალთა მტყორცნე,
თან ტკბილი და თანაც მწარე,
მოგეხვიე... გადავკოცნე
მე იმ სახის არემარე.

ეჰ! დრო იგი დარჩა მილმა —
ტალღა მოსკდა, როგორც გორა,
ზღვას შეშურდა — ჩვენ სასტიკმა
ღელვამ დაგვაშორიშორა.

ძნელი როდი არის პოვნა,
რაც რამაა დაკარგული —
რადგან, რასაც ჰკარგავს ხსოვნა,
ღრმად ინახავს ჩვენი გული.

1947

### პროლოგი 100 ლექსის

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი:
მოშორდნენ ტახტებს ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოოზი და ფერდინანდი.
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

1921

### ქალავ!

გულო, ოცნებას მალავ,
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ვაჟი: — დაიცა, ქალავ!
ქალი: — დაგიბრმა თოლი!
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში,
— არა — ჩურჩულებს ქალი.
— კარგი! — ამშვიდებს ვაჟი.
გულო, ოცნებას მალავ.
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ისევ: — დაიცა, ქალავ!
ისევ: დაგიბრმეს თოლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალებიც იცავდნენ კავკასიას

დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში ჭალარა კავკასიონის მთავარი ქედის მაღალ მწვერვალებსა და უღელტეხილებზე გაჩაღებულ ცხარე ბრძოლებში კაცების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ სხვადასხვა ეროვნების ქალებიც. ისინიც ულობავდნენ გზას საქართველოსკენ მოძალებულ ჰიტლერელთა ურდოებს.

1942 წლის 11 სექტემბერს იალბუზის რაიონში, 3200 მეტრ სიმაღლის ფერდობებზე, წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად იბრძოდა ლეიტენანტ კოსტიუკის რაზმი, რომელსაც მწვერვალი უნდა დაეპყრო და დახმარებოდა ჩვენს ქვედანაყოფებს „ყინულოვანი ბაზისა" და „თერთმეტის თავშესაფარის" დაკავებაში. ამ დავალების შესრულებაში კოსტიუკის რაზმს მხარს უჭერდა შინაგანი ჯარების მებრძოლთა ოცეული, რომელშიც 20 წლის კომკავშირელი მედდა, უკრაინელი ოლღა ორიოლიც იყო.

11 სექტემბერს, განთიადისას ჩვენმა მებრძოლებმა „სტარი კრუგოზორზე" შეტევა რომ დაიწყო, ოლღა ორიოლი ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც თოფი მოემარჯვებინა და თანაპოლკელებთან ერთად იბრძოდა. ის მარჯვედ ესროდა ქვებს ამოფარებულ მტრის მეავტომატეებს, ეხმარებოდა დაჭრილებს.

ტყვიებისა და ნამსხვრევების სეტყვაში, ნაღმებისა და ხელყუმბარების გრიალში რაზმი შეუპოვრად მიიწევდა წინ და მთელ ამ ორომტრიალში უშიშარი მედდა ცეცხლის შუაგულში იყო. ორიოლი ფეხში დაიჭრა. ქალიშვილმა ჩანთიდან სახვევი ამოიღო და ჭრილობას იხვევდა. მისგან ათიოდე ნაბიჯზე მებრძოლი დახუნდარიძეც დაიჭრა. ქალიშვილს საკუთარი ტკივილი დაავიწყდა და მის დასახმარებლად გაეშურა. მაგრამ ორიოდე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრო, რომ მამაცი კომკავშირელი ოლღა ორიოლი ტყვიამფრქვევის ცეცხლმა განგმირა.

იმავე მიმართულებით შინაგანი ჯარების კიდევ ერთი რაზმი გაგზავნეს კაპიტან ა. იურჩენკოს მეთაურობით. მას ჰიტლერელები „თერთმეტის თავშესაფრიდან" უნდა გაედევნა და იალბუზზე საბჭოთა ალამი აღემართა. რაზმში 80 მებრძოლი იყო. მის უფროს გამყოლად ალპინისტი ა. სიდორენკო დანიშნეს, თანაშემწეებად — ალპინისტები ლუბა კორფი და ავსტრიელი კომუნისტი, ვენის შუცბუნდელთა 1934 წლის აჯანყების მონაწილე რუდოლფ შპიცერი, რომელიც აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში.

დაიწყო თვალუწვდენელი მოყინული ველები. ლაშქრობის მეხუთე ღამეს, 15 სექტემბერს 4200 მეტრ სიმაღლეზე ავიდნენ. „თერთმეტის თავშესაფარამდე" 3 კილომეტრამდე უძნელესი გზა რჩებოდა უწყვეტი მყინვარებით, რომლებიც ახალმოსული დიდი თოვლით იყო დაფარული. ისინი კი უფრო მაღლა, „პასტუხოვის თავშესაფართან" — 4800 მეტრ სიმაღლეზე უნდა ასულიყვნენ და ზურგიდან დაერტყათ ჰიტლერელებისთვის.

ღამის 10 საათზე იალბუზზე თოვლნარევი ქარიშხალი ამოვარდა, რის გამოც მებრძოლები ძლივს იდგნენ ფეხზე. ტემპერატურა მკვეთრად დაეცა. შემდგომი წინსვლა მხოლოდ კომპასით შეიძლებოდა. ქარბუქი ბობოქრობდა. თოკით ერთმანეთზე გადაბმულები შეუპოვრად მიიწევდნენ ზემოთ. შეჩერება არ შეიძლებოდა — თავშესაფარი არსად იყო. სიდორენკო და შპიცერი პირველნი მიდიოდნენ და გზას კვალავდნენ თოვლში. ლუბა კორფს კი მათ უკან მიჰყავდა მებრძოლთა რაზმი. მებრძოლებს აღაფრთოვანებდა მკაცრ ბუნებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში ქალის სიმტკიცე და გამბედაობა.

დაახლოებით ღამის 2 საათზე რაზმს გზა გადაუღობა 5-6 მეტრი სიგანის ყინულოვანმა ხრამმა. სიდორენკო და შპიცერი დიდხანს დადიოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ და ეძებდნენ მის ბოლოს ან ვიწრო ადგილს, მაგრამ ამაოდ. ალპინისტების მოლოდინში რაზმი უძრავად იდგა ადგილზე და ვერავინ ბედავდა ნაბიჯის გადადგმას — ვაი თუ ყველანი დაღუპულიყვნენ.

ბოლოს სიბნელეში გამოჩნდნენ თოვლში ამოგანგლული სიდორენკო და შპიცერი. ისინი დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ არ იმჩნევდნენ, იმ წუთას რაზმის ბედი ხომ მათზე იყო დამოკიდებული.

მეთაურებმა მოითათბირეს, გადაწყვიტეს, რომ იქ დარჩენა არ შეიძლებოდა: მებრძოლები გათენებამდე ფეხზე დგომას ვერ გაუძლებდნენ და გაიყინებოდნენ, ამასთან, გათვალისწინებულზე მეტხანს იყვნენ გზაში და პროდუქტები ელეოდათ.

დილის 5 საათზე რაზმმა პირი იბრუნა ირიკის ხეობისაკენ. თერთმეტი საათის შემდეგ მყინვარების ზონიდან გავიდნენ და მეორე დღეს ბაქსანის ხეობაში ჩავიდნენ. არც ეს გზა იყო იოლი სანახევროდ ბრძოლისუნარდაკარგული მებრძოლებისათვის, მაგრამ ლუბა კორფის მხნეობა ყველას ძალას მატებდა...

1942 წლის 28 ოქტომბერს ფაშისტებმა გაარღვიეს 37-ე არმიის თავდაცვა და ნალჩიკი დაიკავეს. ამ დროს ბაქსანის ხეობის ქვემო და შუა ნაწილს იცავდნენ პოლკოვნიკ გ. ყუფარაძის 392-ე დივიზიის ქვედანაყოფები. რუმინელთა მე-2 სამთომსროლელმა დივიზიამ და გერმანელთა ორმა ბატალიონმა სძლიეს გ. ყუფარაძის დივიზიის წინააღმდეგობას, ბაქსანის ხეობით სოფ. გუნდელენსა და ყანხოტეკომდე ავიდნენ და იალბუზიდან 60 კილომეტრზე განლაგდნენ. ბაქსანის ხეობაში გამწვავდა საბრძოლო ვითარება. გერმანელებისა და რუმინელების ჭარბი ძალების წინსვლა საფრთხეს უქმნიდა 392-ე დივიზიას — შეიძლებოდა ის სხვა ნაწილებისაგან მოწყვეტილი აღმოჩენილიყო და გაენადგურებინათ.

ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ გაითვალისწინა ეს და ალყაში მოხვედრის თავიდან ასაშორებლად, ყუფარაძეს უბრძანა დონღუზ-ორუნის უღელტეხილით უკან დაეხია საქართველოში, ხოლო გენერალ-ლეიტენანტ კ. ლესელიძის 46-ე არმიის ნაწილებს, კერძოდ, პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის 242-ე დივიზიის ქვედანაყოფებს დაევალა მომავალი ნაწილების ზურგის დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ნოემბერს „მასწავლებლის სახლის" ბაზაში, სადაც საქართველოსკენ მიმავალი დონღუზ-ორუნის ბილიკი იწყება, მიიყვანენ ტირინაუზიდან ევაკუირებული 37-ე არმიის ჰოსპიტლისა და 392-ე დივიზიის მედსანბატის მანქანები დაჭრილებით.

37-ე არმიის 2417-ე საველე ჰოსპიტლის 19 წლის მედდის ნინა ვერბოვსკაიას სიმამაცესა და გულისხმიერებას მოწმობს მისი დაჯილდოების ფურცელი: „დონღუზ-ორუნის უღელტეხილზე გადმოსვლისას მას 9 დაჭრილი მოჰყავდა. იძულებული გახდა მთაში გაჩერებულიყო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ღამით მარტო ავიდა უღელტეხილზე, ბაზაში კარავი აიღო და უკან დაბრუნდა, დაჭრილებს თავშესაფარი მოუწყო, თვითონ კი ღამე თოვლზე გაათია.

392-ე დივიზიის მეტსანბატის სანიტარი ტასია ბარბაჩკოვა მხოლოდ 18 წლისა იყო. საქართველოში უკან დახევისას ის 13 მძიმედ დაჭრილს უვლიდა. ქალიშვილი თითოეული მათგანისთვის ადვილად პოულობდა გულთბილ, დამამშვიდებელ სიტყვას, საკუთარ დაღლილობას ივიწყებდა და ხან ერთის დასახმარებლად მიიჩქაროდა, ხან მეორისა. უსწორებდა სახვევს, ტკივილის გასაყუჩებელ წამალს აძლევდა.

პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის 242-ე დივიზიის 897-ე პოლკის მებრძოლებისა და სანიტარული ნაწილის მუშაკების, უმთავრესად ქალების, დახმარებით 392-ე დივიზიამ უმნიშვნელო დანაკარგებით ორგანიზებულად დაიხია და ბრძოლისუნარიანი ჩამოვიდა ჯერ სოფელ ბეჩოში, შემდეგ მესტიაში და იქიდან ენგურის ხეობით ზუგდიდში.

ძნელი იყო ზამთარში მთაში ბრძოლა. მაგრამ განსაკუთრებულ, უმაგალითო სიძნელეთა გადალახვა უხდებოდათ მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც უღელტეხილების გარნიზონებში იმყოფებოდნენ.

გარნიზონებში მყოფთათვის პირველი მკაცრი გამოცდა იყო 17 ოქტომბერს იალბუზისპირეთში დაწყებული თოვლნარევი ქარიშხალი. ორ დღეში თოვლის საფარმა 2 მეტრს გადაამეტა. 19 ოქტომბრისათვის დონღუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილების ყველა მისადგომი და ბილიკი ერთიანად თოვლის ნამქერებით ჩახერგილი აღმოჩნდა. შეწყდა გარნიზონებთან სატელეფონო კავშირი. მხოლოდ რადიოთი ხერხდებოდა ურთიერთობა.

ყოველ სამ საათში ზემოდან იტყობინებოდნენ: „ბევრი მოყინულია, სასწრაფოდ გამოგზავნეთ დახმარება..."

19 ოქტომბერს ტურბაზა „ნაკრში" მაშველ სამუშაოთა ორგანიზაციისათვის მივიდნენ 242-ე დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი და შტაბის უფროსი მაიორი ა. ბოჟენკო. იმავე დღეს ნაკრის ხეობით ზემოთ, ღრმა თოვლში უღელტეხილისკენ წავიდა მაშველი რაზმი. მის შემადგენლობაში ორი ქალი იყო: სამხედრო ფერშალი გნედინა და სანინსტრუქტორი რუსავსკაია, რომელთაც ნებაყოფლობით გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ძნელ ლაშქრობაში.

თოვა არ წყდებოდა. ძლიერი ქარი გაყინულ ფიფქებს ნემსებივით აყრიდა პირისახეში. მაგრამ ჯარისკაცები ბილიკებს წმენდნენ თოვლისაგან და ნაბიჯ-ნაბიჯ ადიოდნენ. მხოლოდ ორი დღელამის შემდეგ, 21 ოქტომბერს, საღამოხანს, მიაღწიეს ბასას, ხოლო კიდევ ორი დღის შემდეგ დონღუზ-ორუნის უღელტეხილზე ავიდნენ.

მაშველმა რაზმებმა მარტო ამ ორი გარნიზონიდან 125 მძიმედ მოყინული ჯარისკაცი და მეთაური წამოიყვანეს...

საბჭოთა მებრძოლები არ უშინდებოდნენ მტრის ჭარბ ძალებსა და პოზიციურ უპირატესობას და მაინც ახერხებდნენ ხეობებითა და მთის ბილიკებით ფაშისტთა ზურგში გაჭრას. სოფელ იალბუზსა და ტეგენეკლთან, „სტარი კრუგოზორთან", ჩიპერის, ჩიპერ-აზაუს, ხოთიუ-თაუს უღელტეხილებზე ხანმოკლე ცხარე შეტაკებები იმართებოდა: ფეთქდებოდა ხელყუმბარები. კაკანებდნენ ავტომატები — საბჭოთა მეომრები ანადგურებდნენ ფაშისტებს, მათს საცეცხლე წერტებს, საომარი მასალისა და სურსათის საწყობებს.

ჩვენი მებრძოლები რომ სწრაფად ეუფლებოდნენ მთის ლაბირინთებსა და ხეობებში თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების ხელოვნებას, ამაში დიდი წვლილი მიუძღოდათ სამთო საქმის ინსტრუქტორებს. 242-ე დივიზიაში 28 ალპინისტი მსახურობდა. ისინი წინ მიუძღოდნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიმავალ ქვედანაყოფებს, მონაწილეობდნენ დაზვერვაში და ძნელმისადგომი უღელტეხილების დაცვაში.

ცნობილ ალპინისტთა შორის გამოირჩეოდა მოსკოველი ლეიტენანტი ლუბა კოროტაევა. 1942 წლის დასაწყისში ლუბა მოხალისედ წავიდა ფრონტზე და, როგორც გერმანულის კარგი მცოდნე, მზვერავთა სკოლაში მოხვდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კოროტაევა რადიომიმღებით მტრის ზურგში გადაისროლეს. შემდგომ ის, საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის მედლით დააჯილდოვეს.

1942 წლის შემოდგომაზე, კავკასიაში გაჩაღებული ცხარე ბრძოლების დროს, ლუბა კოროტაევა ალპინისტთა ჯგუფთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის განკარგულებაში და ნ. პერსიანოვთან, ა. გრიაზნოვთან, გ. სულაქველიძესა და ა. სერგეევთან ერთად იალბუზის რაიონში მოქმედ პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის 242-ე სამთომსროლელი დივიზიის 897-ე პოლკის მზვერავ-ალპინისტთა საგანგებო რაზმში ჩაირიცხა.

ლ. კოროტაევა, ისევე როგორც სხვა ალპინისტები, დადიოდა დაზვერვაში, უღელტეხილებზე გადაჰყავდა ქვედანაყოფები, ეძებდა და შველოდა თოვლის ზვავებში მოხვედრილ და ქარიშხლისა და მეწყერის დროს გზააბნეულ მებრძოლებს. დღისით და ღამით, დარსა და ავდარში ადიოდა დათოვლილ დონღუზ-ორუნის უღელტეხილზე, სადაც ჩვენი მებრძოლების ჯგუფები მოქმედებდნენ. მამაცმა ქალმა იალბუზისპირეთში ყოფნის სამ თვეში 46-ჯერ გადალახა ეს მაღალი გადასასვლელი.

ახალწლის ღამეს, ბაქსანის ხეობაში დასაზვერავად გაიგზავნა 40-მდე მებრძოლისაგან შემდგარი რაზმი. დონღუზ-ორუნკელის ტბამდე ისინი ერთ ჯგუფად მიდიოდნენ. შემდეგ ორად გაიყვნენ. ჯგუფი, რომელშიც 14 მებრძოლი იყო, ოცეულის მეთაურ ა. ნიკოლაევის ხელმძღვანელობით დონღუზ-ორუნის მთისაკენ წავიდა. ამ ჯგუფს ალპინიზმის ორი ინსტრუქტორი მიუძღოდა წინ — ლუბა კოროტაევა და ა. გრიაზნოვი.

დილაადრიანად იწყეს დათოვლილ კლდეებზე ასვლა. დასაწყისშივე ორი რადისტი დაიღუპა. ნიკოლაევს კი ფეხი დაუცდა, ქვის შვერილს ჩაეჭიდა და უფსკრულზე დაეკიდა, მაგრამ ლუბა კოროტაევამ უმალვე გაუწოდა ყინულსაჭრელი და ბექობზე გადაიყვანა. ზამთრის მოკლე დღე ასვლაში დაილია. ღამე მოყინულ კლდეზე გაათიეს, დილით კი კვლავ ასვლა დაიწყეს. მალე ჯგუფი ქარისაგან მოკრიალებულ მყინვარზე ავიდა. გზის შემდგომი გაგრძელება მხოლოდ ალპინისტებმა შეძლეს.

1943 წლის 2 იანვარს, დილის 10 საათზე, ლუბა კოროტაევა და ა. გრიაზნოვი დონღუზ-ორუნისა და მცირე კოგუთაის მწვერვალებს შორის აღმართულ მოყინულ, 2500 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალზე ავიდნენ. ჭოგრიტში მათ ნათლად დაინახეს მტრის საცეცხლე წერტები და პოზიციები ბაქსანის ხეობაში, „სტარი კრუგოზორზე", „თერთმეტის თავშესაფარზე" და დააზუსტეს ფაშისტების ძალები, საღამომდე იქ დარჩნენ და უთვალთვალებდნენ ჰიტლერელებს. ქვემოთ ჩასვლის წინ მათ ქვებისაგან გაკეთებულ ჯინში დატოვეს ხელყუმბარა, რომელშიც ფალიის ნაცვლად, ბარათი იდო. მასში ეწერა, რომ 1943 წლის 2 იანვარს იქ იყვნენ ლეიტენანტი ლუბა კოროტაევა და გრიაზნოვი. ალპინისტები შეთანხმდნენ რომ ომის შემდეგ, ვინც ცოცხალი დარჩებოდა, ავიდოდა მწვერვალზე და სამახსოვრო ბარათს აიღებდა.

კავკასიის დაცვის საფინალო ეტაპზე, ლ. კოროტაევამ, ალპინისტთა დიდ ჯგუფთან ერთად (რომელშიც ქართველი ალპინისტები გ. სულაქველიძე და ძმები ბეკნუ და გაბრიელ ხერგიანებიც შედიოდნენ), მონაწილეობა მიიღო ზვიადი იალბუზის ორივე მწვერვალიდან ფაშისტური შტანდარტების ჩამოხსნასა და საბჭოთა კავშირის წითელი სახელმწიფო ალმების აღმართვაში.

**გრიგოლ იარალოვი,**

**სამამულო ომის ვეტერანი, წითელარმიულ გაზეთ „ნასტრაჟე როდინის" ყოფილი რედაქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვა პრეტენდენტი

ჭადრაკის სამყარო სამი წლის მანძილზე მოთმინებით უცდის ხოლმე იმ დროს. ახლა გამოვლენილი მსოფლიოს ჩემპიონობის რვავე პრეტენდენტი. ყველა დანარჩენმა დიდოსტატმა კი თავისი იმედების განხორციელება კიდევ სამი წლით უნდა გადადოს. მაშ ასე: ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნონა გაფრინდაშვილი, ლიდია სემიონოვა, ტატიანა ლემაჩკო, მარგარეტ მურეშანი, ირინა ლევიტინა, ლიუ შილანი... პრეტენდენტთა ასპარეზობის მიღმა დარჩნენ საინტერესო მოჭადრაკეები: ნინო გურიელი, ელენე ახმილოვსკაია, მარია ივანკა, ევა ვეროცი-პეტრონიჩი. ყოველივე ამას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ მათი ჩამოთვლა და ახსნა დღეს ჩვენი მიზანი არ არის. ვისაუბროთ ახლანდელ პრეტენდენტებზე, რომელთა რიგები სანახევროდ განახლდა. ვინ ელოდა მაია ჩიბურდანიძის შესაძლებელ მეტოქეთა შორის მურეშანს ან შილანს?! [illegible]. პრეტენდენტთა ასპარეზობაც ბევრ სიურპრიზს მოგვიტანს, რომელთა გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია საჭადრაკო შეჯიბრება.



ნ. ალექსანდრია



ნ. იოსელიანი



ტ. ლემაჩკო



მ. მურეშანი

ნანა ალექსანდრია. მას შემდეგ, რაც 17 წლის ალექსანდრია კიევში პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (ეს 1966 წელს მოხდა), იგი უცვლელად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ. ალექსანდრიამ საერთოდ არ იცის, რა არის სპორტული „ჩავარდნა". საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული დღემდე ინარჩუნებს თავის დიდ ძალას. ეს ძალა ისიც არის, რომ ნანას ყოველთვის შესანიშნავი მწვრთნელები ჰყავდა. ჯერ იყვნენ დაუვიწყარი ვახტანგ ქარსელაძე, დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, უკანასკნელ მატჩში (მსოფლიოს პირველობაზე) ნანასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი თეორეტიკოსი დვორეცკი, დიდოსტატი პალატნიკი, ჩინებული ოსტატი გავრიკოვი. ცნობილი გამოთქმა „გვითხარი ვინ არიან შენი მეგობრები და გეტყვით, ვინ ხარ შენ". ჭადრაკში რამდენადმე უნდა შეიცვალოს: „გვითხარი, ვინ არიან შენი მწვრთნელები და გეტყვით, როგორი მოჭადრაკე ხარ შენ".

1981 წლის შემოდგომის შემდეგ, როცა მაია ჩიბურდანიძესთან მატჩი ითამაშა, ნანა ალექსანდრია ინარჩუნებს საბრძოლო მზადყოფნას, იგი ბევრს მეცადინეობს, წარმატებით გამოდის ტურნირებში, კონსულტაციებს იღებს სხვადასხვა თეორიული ვარიანტის სპეციალისტებთან, შექმნა მწვრთნელთა ჩინებული „შტაბი", ერთი სიტყვით, მზად არის პრეტენდენტთა ბრძოლებისათვის.

ნანა იოსელიანი. ნანა მოჭადრაკე ქალთა „ახალი ტალღის" ერთერთი უნიჭიერესი წარმომადგენელია. როცა დიდოსტატს ახასიათებენ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მისი შედეგების სტაბილურობას. ნანა იოსელიანს ყოველთვის ჰქონდა ეს სტაბილურობა. 1981 წლის მიწურულში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა (ნონა გაფრინდაშვილთან ერთად). 1982 წლის იანვარში პირველი პრიზი გაინაწილა იუგოსლავიის ქ. იაიცეში ისევ ნონა გაფრინდაშვილთან ერთად. შემდეგ კი, სადაც ითამაშა, ყველგან თავი გამოიჩინა: ნანას პარტიებს საბრძოლო შემართებასთან ერთად, დიდი ნიჭის „ბეჭედი" აზის, აქ ბევრი საინტერესო იდეაა, საყურადღებო პოზიციური მანევრები, მძაფრი კომბინაციები. ერთი სიტყვით, იოსელიანის პარტიებში ჩქეფს სიცოცხლე. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, რომლის სკოლაშიც ნანა რამდენიმე წლის განმავლობაში მეცადინეობდა, ახლა ფიქრობს, რომ პრეტენდენტთა ბრძოლის მომავალ ციკლში იოსელიანი დიდ როლს შეასრულებს.

ნონა გაფრინდაშვილი. თავისებური კურიოზია, რომ თავისი საჭადრაკო მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე ნონას პირველად მოუხდა საზონათშორისო ტურნირში გასვლა. ეს საზონათშორისო ტურნირი კი ზოგისათვის ოცნების ზღვაა, ზოგისთვის იმ სასტუმროს მსგავსი, რომელშიც ძალიან



ნ. გაფრინდაშვილი



ლ. სემიონოვა



ი. ლევიტინა



ლ. შილანი

ხშირად უბედება ცხოვრება.

მაშ ასე, ბად-კისინგენის საზონათშორისო ტურნირში ნონამ პირველად ითამაშა; პირველად „მივიდა, ნახა, გაიმარჯვა". მისი თამაში მართლაც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა მონაწილეებისაგან. დღევანდელი ნონა გაფრინდაშვილი გახლავთ მრავალ ბრძოლაგადანახადი ბრძენი, რომელმაც იცის, სად იჩქაროს, სად ხელოვნურად „მოადუნოს" თამაში, სად მიზნართოს გაცვლებს, სად შეიკავოს თავი ასეთი ოპერაციისაგან. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს იმ ბედნიერ შემთხვევასთან, როცა მოჭადრაკემ თავისი განსაკუთრებული საჭადრაკო ძალა შეინარჩუნა და მას უდიდესი გამოცდილებაც დაერთო. ჭადრაკის სამყარო შეეჩვია ნონა გაფრინდაშვილს, როგორც ჩემპიონს, ახლა კი მეორედ უნდა შეხვდეს მას, როგორც პრეტენდენტს. ეს მეორე შეხვედრა პირველისაგან, ვფიქრობთ, განსხვავებული იქნება. 1980 წელს ნონამ თავის წოდებასთან გამოთხოვების შემდეგ ვერ შეძლო ეთამაშა ადრინდელ დონეზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ჭადრაკის ისტორიაში ეს თითქმის ვერავინ მოახერხა. მსოფლიოს ჩემპიონის წოდების დაკარგვა მოჭადრაკეს მძიმე კვალს აჩნევს. ახლა საქმე სხვანაირად იქნება. ძველთაგანვე ცნობილია, რომ ჭრილობების საუკეთესო მკურნალი დროა. ეს დრო კი, როგორც ექსჩემპიონის სატურნირო გამოსვლები გვიჩვენებს, უკვე გავიდა. მაშ, ასევე უახლოეს ხანებში ჩვენ უნდა შევხვდეთ ძველ და ამავე დროს ახალ ნონა გაფრინდაშვილს.

ლიდია სემიონოვა. კიეველი მოჭადრაკე პირველად მოხვდა პრეტენდენტთა „ამქარში", თუმცა მისი შესაძლებლობები კარგა ხანია ცნობილია. სემიონოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, წარმატებით მონაწილეობს საბჭოთა საერთაშორისო ტურნირებში. ბად-კისინგენში მეორე ადგილზე გამოსვლა სემიონოვას უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, იგი ასეთად დარჩება თუ კიეველს კიდევ უკეთესი შედეგები ექნება. ბად-კისინგენმა სემიონოვას დიდოსტატის „კვერთხი" მიუტანა, რასაც იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდა. მისი პარტიები ხასიათდება ბრძოლისაკენ მისწრაფებით და უკიდურესი შეუპოვრობით. ამ შეუპოვრობაში, ნონა გაფრინდაშვილის აზრით, არის კიდეც სემიონოვას ძალა. მისთვის არ არსებობს მძიმე, თუნდაც უიმედოდ წაგებული პოზიციები. სემიონოვა ყოველთვის უკანასკნელ პაიკამდე იბრძვის და ბედი გნებავთ თუ იღბალიც ხშირად მის მხარეზეა.

ტატიანა ლემაჩკო. შეუპოვრობაზე თუ არის ლაპარაკი, ამ მხრივ სემიონოვასთან ბევრი რამ აქვს საერთო ბულგარეთის მრავალგზის ჩემპიონ ლემაჩკოს, მკითხველს უდავოდ ახსოვს, რომ იგი ადრე საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი იყო, შემდეგ კი ბულგარეთში გათხოვდა. ლემაჩკო ნამდვილი მებრძოლია. როცა პარტიას თამაშობს, მისთვის უკვე აღარ არსებობს გარე სამყარო. ასეთი კონცენტრაციის უნარი ბევრ დიდოსტატს როდი აქვს. ლემაჩკოს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ის გახლავთ, რომ იგი განუწყვეტლივ იზრდება. ნახეთ მისი პარტიები, ნათამაშევი, ვთქვათ, 1977 წელს და შეადარეთ ახლანდელებს. მართლაც რომ ცაა და დედამიწა! მას შემდეგ, რაც თავი გამოიჩინა ბად-კისინგენში ლემაჩკომ ჩინებული სტილით დაიკავა პირველი ადგილი ტიმიშოარაში (რუმინეთი). არა, მისი მიღწევები შემთხვევითი არ არის!

მარგარეტ მურეშანი. თუკი ჩვენ სექტემბერში თბილისში რამე გაგვიკვირდა, ეს რუმინელი მურეშანის გამოსვლა იყო. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ იგი თბილისის ასპარეზობას არ უყურებდა, როგორც ერთ-ერთ ჩვეულებრივს. ჩვენ ადრე მას ვიცნობდით, როგორც რუმინეთის ნაკრების წევრს, ერთ-ერთ წამყვან ოსტატს. ახლა კი სპეციალისტებმა შენიშნეს მურეშანის დიდი შემოქმედებითი წინსვლა. მურეშანი, როგორც თვით განაცხადა, ხანგრძლივად და საგულდაგულოდ ემზადებოდა და შედეგიც ჩინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული აღმოჩნდა. მურეშანს, შეიძლება ითქვას, არავის წინააღმდეგ გასჭირვებია. დიდებული სადებიუტო მომზადება საშუალებას აძლევდა ნებისმიერი პარტიისათვის როგორც თეთრებით, ისე შავებითაც მისთვის სასურველი მიმართულება მიეცა. მურეშანი პირველად გახდა პრეტენდენტი. უნდა ითქვას, რომ ეს თავისი უდიდესი ტრიუმფი მან სავსებით დაიმსახურა.

ი რ ი ნ ე  ლ ე ვ ი ტ ი ნ ა. იგი ადრე პრეტენდენტიც იყო და საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონიც. თბილისში ჩამოვიდა, როგორც აღიარებული ფავორიტი, მიხეილ ტალს უყვარს გამოჩენილ რომაელ ისტორიკოს გაიუს სალუსტიუსის გამოთქმის გამეორება. „მოჭადრაკე (სალუსტიუსთან — ადამიანი) თვით არის თავისი ბედის მჭედელი". ლევიტინა ნამდვილად კარგი „მჭედელია". ყოველი ტურნირის წინ მონაწილე ადგენს ტაქტიკურ გეგმას, თუ როგორი მიმართულება უნდა მისცეს შეჯიბრებას. ლევიტინამ, რომელსაც ერთნაირად ემარჯვება ტაქტიკური ბრძოლაც და სტრატეგიული მანევრებიც, ფიცხელი შეხლა-შემოხლა თუ „სასანგრო" ტაქტიკა, ამჯერად სიფრთხილე არჩია. გამარჯვებულებს არავინ ამტყუნებს! თუ ამ ტაქტიკამ ლევიტინას ამჯერად წარმატება მოუტანა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სწორი ყოფილა. ჩვენ გვწამს, რომ პრეტენდენტთა მატჩებში ლენინგრადელი მოჭადრაკე ხელს აიღებს ამ სიფრთხილეზე. იქ ყველაფერს გადაწყვეტს შემართება და მხოლოდ შემართება!

ლ ი უ  შ ი ლ ა ნ ი. 20 წლის ჩინელის წარმატება უდავოდ სიურპრიზი გახლდათ. იგი ჯერჯერობით მხოლოდ ტალანტს ემყარება, რადგან ლიუ შილანს, თუკი მის ასაკს გავითვალისწინებთ, არც საკმარისი სატურნირო გამოცდილება აქვს და არც დიდი სადებიუტო ერუდიცია. ის რომ მეტად ნიჭიერია, ლიუ შილანის სათამაშო მანერასაც ეტყობა. იგი არ ხარჯავს მოსაფიქრებლად განკუთვნილ დროის ნახევარსაც კი, მოქმედებს მეტად სწრაფად და ენერგიულად. ბრძოლის ასეთი მანერა ორლესულია, იგი მეტოქეს უბიძგებს შეცდომებისაკენ და არ გამორიცხავს საკუთარ შეცდომებსაც. თბილისში ლიუ შილანისათვის ყველაფერი კარგად წარიმართა, მან ერთად მოიპოვა დიდოსტატობა და პრეტენდენტობა. ახლა ჩინელი მოჭადრაკე, უდავოდ დიდად გამხნევებულია ასეთი წარმატებით და უფრო ძნელი ამოცანების წინაშე დგება

რადგან ეს წერილი პრეტენდენტებს მივუძღვენით, ცხადია, ორიოდე სიტყვა იმაზეც უნდა ითქვას, ვინც მათ შორის უძლიერესს 1984 წელს შეხვდება.

მაია ჩიბურდანიძეს შეუძლია ჯერჯერობით მშვიდად იყოს. რვა პრეტენდენტისაგან დაახლოებით მარტ-აპრილისათვის ოთხიღა დარჩება, ზაფხულის მიწურულისათვის — ორი, 1988 წლის ბოლოსათვის ერთი — უძლიერესი. აი მსოფლიოს ჩემპიონის ნამდვილი მზადება მხოლოდ მაშინ დაიწყება.

გივი გამრეკელი

ხმა ღვთისა და ხმა ერისა

# სახელს გარქმევთ, გაიზარდე სასახელოთ!

ამ დევიზით ქუთაისში, გუმათის დასახლებაში ტრადიციად დამკვიდრდა ბავშვისათვის სახელის დარქმევის ჩვენი ყოფის სადარი წესი, რომელსაც სათავე დაედო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

... ლეგენდარული მხედართმთავარი კოტოვსკი სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ხელში აიტაცებდა პატარას და მიმართავდა; — შენ გნათლავთ არა ჯვრითა და ხატებით ნაკურთხი წყლით, არამედ იმ წმინდა ალმით, რომელიც ბრძოლებში გამოატარა შენმა უფროსმა თაობამ.

შენთვის ღირსშესანიშნავია დღევანდელი დღე. შენ გაკუთნებენ სახელს, რომელიც ღირსეულად უნდა ატარო მთელი ცხოვრების მანძილზე, შენ დაიბადე თავისუფლების ქვეყანაში, სადაც ადამიანი ადამიანისათვის ძმა, ამხანაგი და მეგობარია. გაიზრდები, გახსოვდეს, ბედნიერება — ეს არის შრომა ხალხის საკეთილდღეოდ".

წარსულის სურათები გაგვიცოცხლა გუმათის კულტურის სახლში პაატა ხელაიასათვის სახელის მიკუთვნების საზეიმო ცერემონიალის მოწყობამ.

დაიწყო ცერემონიალი: სცენაზე გამოდიან მშობლები და ნათლია, — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ქუთაისის ფილიალის მთავარი რედაქტორი პოეტი თეიმურაზ ლანჩავა. ცერემონიალის მომწყობი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნ. სინაურიძე აცხადებს ნათლიის გვარს და დამსწრეთ აცნობს მის ვინაობას, მის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სიტყვით პირველი გამოდის თეიმურაზ ლანჩავა: — ყველაზე დიდი საჩუქარი ამ ქვეყნად სახელის დარქმევაა ადამიანისათვის. ამ სახელით უნდა იშრომოს, იბრძოლოს, იკაიკაცოს და იმოღვაწეოს — ნეტავი მას, ვისი სახელიც ზეცამდე ამაღლდება, ვიწრო, სანათესაო, სამეგობრო წრეს გასცდება და მაღალ საზოგადოებრივ არენაზე გაიკაფავს გზას".

დიდი მისია ეკისრება პიროვნებას, რომელიც სახალხოდ, გამორჩეულად სახელს დაარქმევს მოქალაქეს, გზას დაულოცავს და პასუხისმგებლობას იკისრებს შემდგომ მის კაიკაცად ჩამოყალიბებაზე.

გუმათის დასახლებაში უამრავი მსურველი გამოჩნდა ბავშვთა კომუნისტური ნათლობისა. სახელის მიმკუთვნებელთა შორის არიან ქალაქის ცნობილი ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირი, მძლოლი ე. ოშხერელი; საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, პოეტი ლილი ნუცუბიძე; ომის ვეტერანი, თადარიგის მაიორი ვ. ლეფსაია და სხვები.

... ქალაქის გარეუბანში, გუმათის ლამაზ დასახლებაში გრძელდება ახალი საბჭოური წესით ბავშვისათვის სახელის დარქმევის ცერემონიალი, რომელიც სულ უფრო და უფრო იხვეწება და მომხიბლავ სახეს იღებს. ყოველი ცერემონიალი მთავრდება მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივის გამოსვლით. იგი ამ დღისათვის სპეციალურ პროგრამას ამზადებს.

გათვალისწინებულია ლენინგრადელთა მაგალითისამებრ დაწესდეს მედალი, რითაც აღინიშნება ბავშვის დაბადება, მას გადასცემენ მშობლებს თავიანთი შვილებისათვის სახელის მიკუთვნების ზეიმის დროს. მედლის ერთ მხარეზე ქალაქის ხედი იქნება გამოსახული, მეორე მხარეზე კი ბავშვის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი.

მწვანე გზა კიდევ ერთ ახალ საბჭოურ ტრადიციას — ბავშვისათვის სახელის მიკუთვნების შთამბეჭდავ, საზეიმო და შინაარსიან რიტუალს!

გ. მეფისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა







● მ. ბერძენიშვილი — „ნონა გაფრინდაშვილი“.

● ა. მონახელიძე — „ის ურჩევნია მამულსა“...

● გ. წერეთელი — „ოდა საქართველოზე“

# ნამუშევრები სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. თანქოშვილი — „პეიზაჟი"



ნ. შალიკაშვილი — „ხევისტანის ბრიგადა"



შ. ხოლუაშვილი — „ცნობა საბჭოთა კავშირის შექმნაზე"



თ. მირზაშვილი — „ოჯახი"



ნ. ჩიქოვანი — „[illegible] პორტრეტი"



ა. ჭავახიშვილი — „სტუდენტი გოგონა"



ე. ჩილუნაძე-ეკიზაშვილი — „ფანტაზია" (მინა)



ე. კანდელაკი — „მ. ამირანაშვილის პორტრეტი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. შენგელია-აბაშიძე — „ძმის პორტრეტი“



ლ. ზამბახიძე — „ქალი ძაღლით“



ჯ. ცინცაძე — „ლალის პორტრეტი“



გ. ღლონტი — „გაზაფხულის მელოდიები“

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარიხ გოძიაშვილი

მარიხი! — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ქართული ესტრადის ერთ-ერთი ვარსკვლავი, წლების განმავლობაში რომ გვატკბობდა და გვატკბობს თავისი ხმით, სიმღერებით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოს — „ლილეს" დამაარსებელი და სოლისტი. ამ ტრიოში მისი პარტნიორები იყვნენ ედუარდ სეფაშვილი და კოტე მაკარიძე. სხვადასხვა დროს „ლილეში" მღეროდნენ რობერტ ბარძიმაშვილი, ამირან ებრალიძე. აქ აიდგა ფეხი ესტრადის რამდენიმე ოსტატმა, აქ მოუხაროდათ ახალი სიმღერებით კომპოზიტორებს: შოთა მილორავას, სანდრო მირიანაშვილს, რევაზ გაბიჩვაძეს, სულხან ცინცაძეს, ოთარ თევდორაძეს, ვაჟა აზარაშვილს, გიორგი ცაბაძეს, ლილი იაშვილს. „ლილეს" მეშვეობით მარიხ გოძიაშვილის სასიამოვნო ხმით გადმოდიოდა სიმღერები ხალხში, იმკვიდრებდა პოპულარობას.

„შემირიგდი", „თოლია", „გამოლმით მე ვარ", „ეგ თვალები", „ახ, ტურფავ, ტურფავ", „რა ვილონო" და სხვები.

და კიდევ, მოსაგონებლად საამო და გულის ამაჩქროლებელი: „გამიგონია" (ლექსი იოსებ ნონეშვილისა). და „წალვერი და თბილისი" (ლექსი ანდრო თევზაძისა).

ორივეს მარიხ გოძიაშვილი ასრულებდა. და ორივე სიმღერის მელოდიაც მასვე ეკუთვნოდა, თუმცა ხალხურს უწოდებდნენ (და, მართლაც, ორივე ხალხურად იქცა). მარიხ გოძიაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები გამოირჩეოდა მელოდიურობით, სასიმღერო ტექსტის გულშიჩამწვდომი ლირიზმით, სიფაქიზით. ამას დაუმატეთ შესრულების არტისტიზმი, მომღერლის სასიამოვნო ხმა და სცენურობა, გარეგნობა, თვით სამოსელიც — თავშეკავებული, დახვეწილი, ზომიერი... ერთი სიტყვით, თუ ტრიო „ლილე" ხალხს უყვარდა, ამაში მარიხ გოძიაშვილს მიუძღოდა დიდი წვლილი, როგორც ხელმძღვანელს, როგორც მომღერალს. მისი ხმა ისმოდა და დღესაც ისმის რადიოთი, ფირფიტებით, სატელევიზიო გადაცემებით. საზოგადოება სიამოვნებით ისმენს ტკბილხმოვანებითა და ორიგინალობით საინტერესო ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესრულებულ სიმღერებს, რომლებიც ოქროს ფონდის საკუთრებად ითვლება.

როგორ მოვიდა იგი ესტრადაზე? —ალბათ აინტერესებს მკითხველს. მოვიდა უნივერსიტეტის თვითმოქმედი წრეებიდან, ფილარმონიიდან, ფესტივალებიდან, სოლო კონცერტებიდან. მოვიდა და დაგვიპყრო, მოგვხიბლა. რაც მთავარია, მოვიდა ოჯახიდან, გოძიაშვილთა შემოქმედი ოჯახიდან, სადაც, ტრადიციულად, მღეროდნენ, თავდადებულად ემსახურებოდნენ ქართულ სცენას ძმები: ვასო, ილია, ნიკოლოზი, იოსები. მათს ოჯახში გაისმოდა „გაფრინდი შავო მერცხალო", „დაიგვიანეს", „ნანა", „მრავალჟამიერ", „სუფრული".

...შემდეგ — სკოლა, მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენა, სადაც გოგონა მარიხი ფანდურით გამოდის. სადაც მსახიობი და საყვარელი მასწავლებელი თამარ ლივარდი თავს დასტრიალებს და წვრთნის.

რკინიგზის სამმართველოსთან ჩამოყალიბებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „ლილე" მალე მიიწვია საქართველოს რადიომ და, 1953 წლის 31 დეკემბერს, საახალწლო გადაცემაში, პირველად გაისმა „ლილეს" ჰანგები, მარიხ გოძიაშვილის ხმა. აქედან, ამ დღიდან დაიწყო „ლილეს" გზა — საქართველოს ფილარმონიიდან საკავშირო მასშტაბით; მას უსმენდნენ ქვეყნის გული — მოსკოვი, მოძმე რესპუბლიკები, ყამირი მიწა. „ლილემ" ქართული სიმღერებით მოხიბლა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო, შორს გაიტანა ქართველ კომპოზიტორთა ახალი, მელოდიური სიმღერები, აამღერა და თავი დაახსომა ყველას. ხოლო „სულიკო" და „ციცინათელა" ყველგან, ყოველთვის გვირგვინად ადგა სამთა ხმაშეწყობილ ანსამბლს. ასე იყო ჩვენში, ასე იყო ინგლისსა და ეგვიპტეში, გერმანიასა და ავსტრალიაში, იტალიასა და ინდოეთში, პოლონეთსა და უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და მალტაში. ქართული სიმღერების მელოდიურობა, მდიდარი რეპერტუარი, საშემსრულებლო ხელოვნება — აი, რა დაედო საფუძვლად საკავშირო და საერთაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა ჩხაიძე, მარიხ გოძიაშვილი და ედუარდ ჭულაბაშვილი

რისო ფესტივალებზე ტრიოს გამარჯვებას, უცხოეთის დარბაზებში აღტაცებულ ოვაციებს, აჟიოტაჟს, დარბაზობებს. ამაზე ბევრი რამ დაიწერა, ბევრი აღფრთოვანებული გამოძახილი დაისტამბა. „ლილეს" კვლავ და კვლავ იწვევდნენ. დავკმაყოფილდეთ რამდენიმე გამოხმაურებით: „საბჭოთა მსახიობების გამოსვლის ყველაზე მღელვარე მომენტი იყო, როცა შტატის კულტურის მინისტრი აღტაცებით გაიჭრა სცენაზე და პენჯაბური სიმღერის შემსრულებელს, ქალბატონ მარიხ გოძიაშვილს დიდი ინდოელი მომღერლის ლატას სახელი უწოდა. (გაზეთი „ჰინდუსტანი" 1961 წ.).

„თუმცა კონცერტში სხვა ქვეყნების ვარიეტეს ცნობილი ოსტატებიც მონაწილეობდნენ, ყურადღების ცენტრში მაინც მოსკოვის მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოს —„ლილეს" წევრები იყვნენ, რომელთა მიერ მელოდიური ქართული სიმღერის შთაგონებით შესრულებამ ჯერ კიდევ შარშან დაიპყრო კარლ მარქს-შტადტის გული"...

მარიხ გოძიაშვილი სათუთად ინახავს მრავალ ასეთ გამოხმაურებას, მაგრამ ყველა მათგანის დასახელება შორს წაგვიყვანდა. მთავარი ის არის, რომ „ლილეს" მიერ საზღვარგარეთ გატანილ ქართულ ხალხურ სიმღერებს დიდი გამარჯვებები ხვდათ წილად. ნიშანდობლივია, რომ საგასტროლო მოგზაურობისას მარიხ გოძიაშვილი საგანგებოდ სწავლობდა ამა თუ იმ ქვეყნის სიმღერებს და ამით „ლილეს" რეპერტუარიც მდიდრდებოდა, მრავალფეროვანი ხდებოდა. ქართულ ტრიოს მადლობას უხდიდნენ მელოდიური შესრულებისთვის, მუსიკალობისთვის, დიდი სცენური კულტურისათვის. „არა, ამაზე წერა არ შეიძლება, ის უნდა განიცადოს უშუალოდ თითოეულმა თქვენთაგანმა; მხოლოდ მან, ვინც კონცერტს ესწრებოდა, იცის, თუ რა წარმატება ჰქონდათ ქართველ მომღერლებს", — ასე დაიწერა ლაიპციგში, საერთაშორისო გამოფენის უზარმაზარ 15-ათასიან პავილიონში, ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად „ლილეს" გამოსვლის შემდეგ (სხვათაშორის „ლილე" ერთადერთი საესტრადო ტრიო იყო, რომელიც ამ კონცერტში ჩართეს).

მარიხ გოძიაშვილს მრავალი პირადი თუ წერილობითი მადლობა აქვს მიღებული, მათგან განსაკუთრებით ძვირფასია უცხოეთის მუშების, მშრომელი ადამიანების გულთბილი სიტყვები, სამახსოვრო საჩუქრები, მედლები, ეს მას საბჭოთა ქვეყნის ხელოვნების დიდ აღიარებად მიაჩნია, ქართული სიმღერის გამარჯვების დასტურად ეგულება.

მარიხ გოძიაშვილმა რამდენიმე შეკითხვაზე გაგვცა პასუხი, რომელიც, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება:

ვინ არის თქვენთვის საყვარელი კომპოზიტორი?

— ყველა, ვისაც ჩვენთვის სიმღერა საგანგებოდ შეუქმნია!

ვინ არიან თქვენი ესტრადის სათაყვანებელი მომღერლები?

— თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, მერი შილდელი.

რა ნატვრა გაქვთ?

— შევასრულო ახალი სიმღერები!

დაე, ახდეს ეს ნატვრაც!

თამარ გომართელი

ფაზუ ალიევა
დაღესტნის სახალხო პოეტი

## ქალების სადღეგრძელო

მე რომ ვიყო დედამიწა,
ქალი ცა იქნებოდა,
ზედ რომ მხურავს, — ლაჟვარდი.
მისი სითბო-სინათლით
ვიქნებოდი ნაზარდი!

მე რომ თვითონ ცა ვიყო,
ქალი მზე იქნებოდა,
მზე — სიცოცხლის დედა, —
დასაწყისი ყველაფრის,
რასაც ირგვლივ ვხედავთ!

მე რომ ვიყო სათავე,
ქალი, — კლდეს რომ გადმოსჩქეფს, —
იქნებოდა წყარო...
მომჩქეფარე წყლის ცქერით
კაცის გული ხარობს.

მე რომ ვიყო არწივი,
ჩემს ფრთებს ძალას ფრენაში
შეჰმატებდა ქალი...
სივრცეს მეტად გაჰკვეთდა
არწივული თვალი.

დე ცა იყოს მარადი,
დე მზე იყოს მარადი,
დე გულს მიხალისებდეს
მომჩქეფარე წყარო...
ელვა ცას რომ გაჰკვეთავს,
ცა რომ ქუხილს დასჭექავს,
იქ მენახე, ქალო!

და ჰა, ჩემი სადღეგრძელოც
შენ გეკუთვნის ქალო,
მთელი ქვეყნის თვალო!

თარგმნა ალ. ბეგაშვილმა



# ქართველი ქალები რევოლუციამდელ ბაქოში

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უკანასკნელ — იმპერიალისტურ სტადიაში. მონოპოლისტური კაპიტალიზმის პარაზიტიზმი რუსეთში მწვავედ გამოვლინდა 1900—1903 წლების სამრეწველო კრიზისის დროს.

კრიზისი, საქართველოდან რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში, მათ შორის ბაქოშიც ერეკებოდა ადამიანებს, რომლებიც სამუშაოს ანუ საარსებო წყაროს ეძებდნენ. ასობით უმუშევარი ქართველი შიაწყდა ბაქოს. 1904 წლისათვის მათი რიცხვი უკვე 8149 იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა ბაქოში ქართველების რიცხვი, ისინი კომპაქტურად ერთ რაიონში ცხოვრობდნენ და ასე შექმნეს „ბაქოს ქართული კოლონია".

ბაქოს მეწავთობეთა შორის რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ ქართველი რევოლუციონერები: ი. სტალინი, ა. ენუქიძე, ლ. კეცხოველი, ი. სტურუა, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე და სხვები.

კრიზისის დროს, სხვებთან შედარებით, ყველაზე მეტად იჩაგრებოდა მცირერიცხოვანი ბაქოელი ქართველობა. გაჭირვებულ თანამემამულეებს, კაცებთან ერთად, დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართველი მანდილოსნები.

ბაქოს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია 1881 წლიდან ყოველ წელიწადს აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს, რათა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ბაქოში მცხოვრები ქართველები და მატერიალური დახმარება გაეწია მათთვის. „იმისათვის, რომ საღამო მდიდრულიც ყოფილიყო და საინტერესოც, — წერს თეატრმცოდნე ლ. ყურულაშვილი, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იქნებოდა საღამოს დიასახლისი. დიასახლისებად, სხვებზე უფრო ხშირად იხსენიებენ თამარ დადიანისას, მხატვრობს ქ. ანდრონიკაშვილს, მომღერალს თ. ჩოლოყაშვილისას, ამ საღამოებში აქტიურად მონაწილეობდა ლიზა ხანუმ მუხტაროვა. ქართული საღამოები შემოსავლის უმთავრესი წყარო იყო, ძალიან საინტერესოდ ეწყობოდა და დიდძალ ხალხს იზიდავდა — როგორც ქართველებს, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

„აქაურ ქართველობას უყვარს ეს საღამოები. ყოველი ოჯახი თავის მოვალეობად თვლის დაესწროს და თავისი წვლილი შეიტანოს. წინათ, როცა ქართველობა ნაკლებად იყო ბაქოში, უმთავრეს შემოსავალს არაქართველნი იძლეოდნენ, დღეს კი დიდი ნაწილი იმისა, რასაც საღამო იძლევა, ქართველების ჯიბიდან ამოდის. — წერდა „სახალხო გაზეთი" 1914 წელს. თითქმის არცერთი საღამო არა ყოფილა ამ 23 წლის განმავლობაში, რომელსაც 4000 მანეთზე ნაკლები წმინდა შემოსავალი მოეცა, მაგრამ წლევანდელმა 8000 მანეთამდე შემოსავალი მოგვცა. საღამოს ასეთი შედეგი ნაყოფია ქართველ მანდილოსანთა იმ წრის შრომისა, რომელიც თამარ დადიანის მეთაურობით საღამოების მოწყობის საქმეს უძღვება".

1907 წლიდან ბაქოში მოღვაწეობა დაიწყო ქალთა წრემ. წრის წევრები შეძლებულ ქართველთა შორის აგროვებდნენ შეწირულობას და მთელ თანხას გაჭირვებულთა დახმარებისათვის იყენებდნენ. „ყოველდღიურად ბაქოში და მის სამრეწველო რაიონებში გროვდებოდა ფული, რომლის ნაწილიც, — 200 მანეთი, — გაგზავნილი იყო ქ. ბათუმის თვითმპყრობელობის მიერ დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ". წრე ხელმძღვანელობდა აგრეთვე ქართველ ქალთა განათლების საქმეს, აწყობდა წარმოდგენებს. 1913 წელს, ქალთა წრემ გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა საპროფესიო საღამოს კურსები. გოგონები ქართული სკოლის დარბაზში მეცადინეობდნენ. 1914 წელს საპროფესიო კურსებზე 9 მოწაფე ითვლებოდა. „კვირას, 9 მარტს, იყო საგანგებო კრება ბაქოს ქალთა წრისა". თ. დადიანისამ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და კვლავ იკისრა თავისი მოვალეობის შესრულება.

„დაადგინეს: გამოეცხადოს მადლობა ლიზა ხანუმ მუხტაროვას, რომელმაც ქართულ სკოლას შემოსწირა 500 მანეთი და მიღებულ იქნეს საპატიო წევრად.

აგრეთვე დაადგინეს: გამოეცხადოს მადლობა ქ-ნ ელისაბედ ბოსტოლანაშვილისას, რომელმაც შემოსწირა საკერავი მანქანა, ანა ბოსტოლანაშვილისას, რომელმაც შემოსწირა განჯინა. პირველი ღირს 150 მანეთი, ხოლო მეორე — 50 მანეთი.

დეპუტაციაში აირჩიეს ქ-ნი ლორთქიფანიძე, ქ-ნი კვიტაშვილი და ქ-ნი დ. მახარობლიძე", — იტყობინებოდა „სახალხო გაზეთი".

1914 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ორი საპატიო წევრი ბაქოდან იყო — იაკობ მანსვეტაშვილი და ლიზა ხანუმ მუხტაროვა. უკანასკნელი დიდი სიყვარულით ექცეოდა ქართველებს, აფასებდა მათ კულტურას, მუდამ ესწრებოდა ქართული თეატრალური სექციის წარმოდგენებს, ლიტერატურულ საღამოებს, საიუბილეო სხდომებს, რომლებიც ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლებს ეძღვნებოდა.

მუხტაროვების სახლში უსასყიდლოდ ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ. ამ სახლში ცხოვრობდა და ლიტერატურული წრის დავალებით მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა ნ. კანდელაკი, რომელიც მ. გორკის სათარგმნელად უგროვებდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

1907 წელს ბაქოში ჩამოყალიბდა „ბაქოელ ქართველთა პროფესიული საზოგადოება", რომელიც 1913 წლამდე ფორმალურად არსებობდა, მაგრამ ამ საზოგადოებამ თავისი მოქმედება განაახლა და გააძლიერა 1913 წელს. ამა წლის 2 ივნისამდე საზოგადოებაში ითვლებოდა 16 წევრი და ჰქონდა ცარიელი სალარო. 2 ივნისს საზოგადოების კრებას დაესწრო 150 კაცი, აირჩიეს ახალი გამგეობა, რომელმაც კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. 1914 წლის 1იანვრისათვის საზოგადოების რიგებში ითვლებოდა უკვე 388 წევრი, აქედან 16 ქალი იყო. ქალები დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ, ერთმანეთთან აკავშირებდნენ მუშებსა და ინტელიგენციას.

„საექიმო დახმარებისათვის ყოველ თვეს მიდიოდა საზოგადოების 100 წევრი. აფთიაქებს პირობით შეეკვრნენ, რომ შეღავათიან ფასებში აძლიოს წევრებს წამალი, მოეწყოს იურიდიული დახმარება. ნებართვაა ნათხოვნი, რომ საზოგადოებასთან დაარსდეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ბიბლიოთეკის ფონდისათვის შეკრებილია 800 ტომამდე წიგნი და 100 მანეთი ფულად".

ბაქოელ ქართველთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. 1909 წელს აქ უკვე ცხოვრობდა 4000-ზე მეტი ქართველი. ისინი შერეულნი იყვნენ სხვა ერებში და ამნაირად მათი და მათი შვილების კულტურული განვითარებაც არაბუნებრივ ნიადაგზე ხდებოდა. მათი შვილები ძალაუნებურად სხვა ერების შვილებთან ერთად იმყოფებოდნენ სწავლობდნენ მათს ენას, მათს ზნეს და ჩვეულებას. დედაენას კი ეკარგებოდა ნიადაგი. მოწინავე ადამიანები ცდილობდნენ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვათ.

1908 წელს 1 თებერვალს შედგა ბაქოელ ქართველთა კრება, რომელმაც ერთხმად დაადასტურა სურვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების დაარსებისა, ეს გადაწყვეტილება შესრულდა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. თაქთაქიშვილი. გამგეობამ თავისი მოღვაწეობის მთავარ მიზნად დაისახა ბაქოში დაეარსებინა ქართული სკოლა, რომელიც შეაჩერებდა ქართველების ასიმილიაციას. მართლაც, გამგეობამ 1909 წ. 4 ოქტომბერს გახსნა ოთხწლიანი ქართული სკოლა და გამგედ დანიშნა 35 წლის მ. რამიშვილი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიის საოსტატო სემინარია. 1910—1911 სასწავლო წლებში სკოლაში სწავლობდა სულ 70 მოსწავლე, მათ შორის — 38 გოგონა. მეორე განყოფილებაში ასწავლიდა ვერა ბაქრაძე, მესამე განყოფილებაში პირველ ორ თვეს — ნინო გამრეკელი, ერთ თვეს — თამარ გელოვანი, შემდეგ იგი შეცვალეს ჩოხატაურის სასწავლებელდამთავრებულმა, 24 წლის მარიამ ჩიხლაძემ და ეკატერინე დიდიამ.

„სასკოლო კომისია სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ „ქართული ენისა და ქართულად საგნების ცოდნა ყველა განყოფილებაში მშვენივრად არის დაყენებული".

სკოლაში ძირითადად ღარიბების შვილები სწავლობდნენ. „1911—12 სასწავლო წელს 82 მოსწავლიდან 58 ღარიბი ქართველის შვილი იყო."

„1914 წლის განმავლობაში გამგეობასთან არსებულმა სამშენებლო კომისიამ თამარ გრიგოლის ასულ დადიანის თავმჯდომარეობით დაასრულა სკოლის შენობის მეორე სართული, რაც დაჯდა სულ 5850 მან. შენობა შედგებოდა რვა ოთახისაგან და ოთხოთახიანი ჩინებული სარდაფისაგან".

დიდი შეხვედრა მოუწყეს ბაქოელმა ქართველმა ქალებმა დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს, ბელეტრისტ დ. კლდიაშვილს, პოეტ ი. გრიშაშვილს და სხვებს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბაქოში არსებული ქართული კულტურული დაწესებულებების მუშაობა, აზერბაიჯანელი ხალხის გამყიდველ მუსავატელთა გამცემლობის მეოხებით, სრულიად ჩაკვდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კი იგი აღდგა და განახლდა.

მ. ბიულმამედოვი

სულეიმან რუსთამი,
აზერბაიჯანის სახალხო პოეტი.

## ოცნება

ვისურვებდი, წლებს გაევლოს,
ჩემს ვაჟიშვილს მამისერთას,
ჩემს ოცნებას, ჩემს სიხარულს,
ჩემს გულსა და შემართებას,
თვითონ იმას, სხვას არვის, არც
მამამისს და არც დედას
დარეჯანის მოდგმის ქალი მოენახოს,
და შეერთას.
იმ შუბლნათელ ქართველ ქალსაც
გრძნობა ჰქონდეს ორი წილი,
ჩემს ვაჟისთვის ქალაქ თბილისს
გადაეხადოს ქორწილი.
ეს ბრძანება კი არ არის, ოცნებაა მამის,
შვილო!
მკერდში რომ მაქვს, გული არის, რკინა
არ გეგონოს, შვილო!
შენი სიყვარულის გზებზე თვით აჰენე
ჰუნე შენი,
თვით ეძიე, თვითვე ჰპოვე, თითონ იყავ
ბედის მშენი,
მაგრამ ერთი კი იცოდე, რომ ძალიან
ბედნიერი
ქართველ ქალის მამამთილად მოკვდებოდა
მამაშენი.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ვენერა ჯანბიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდ ოჯახში სითბოც მეტია

ყოველი პატიოსანი ოჯახი ერს სიძლიერისა და ღონიერების ბურჯად უდგას. მითუმეტეს, თუ ის მრავალრიცხოვანი და მრავალშტოიანია, ყველა მისი წევრი კი გამრჯე და შრომისმოყვარე. ასეთი ოჯახი აქვთ შუშანა და ტარიელ ინასარიძეებს. მათ თორმეტი შვილი და ოცდაოთხი შვილიშვილი ჰყავთ. თვალებში მთელი ქვეყნის სიკეთედატეული გოგო-ბიჭები დარბიან ინასარიძეების ეზოში.

ანდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფელია ახალციხის რაიონში. აქ ცა, მზე და ვარსკვლავები თითქოს უფრო ახლოს არის, თუმცა ინასარიძეებს მიწაზე, ლამაზი მთის კორტოხზეც მაგრად უდგათ ფეხი. პირველი სიტყვა ოჯახის დედაბოძს, გმირ დედას შუშანა ინასარიძეს ეკუთვნის:

— მრავალი შვილი მყავს, მაგრამ სითბო და ზრუნვა არ დამიკლია თითოეულისათვის. ყველა კარგად არის: რვა შვილს თავისი ოჯახი აქვს, ერთი შვილი რუსთავში ცხოვრობს, იქ მუშაობს, ორი-ახალციხეშია, მეოთხე დიატომიტის სამმართველოში შრომობს. სამი ქალიშვილი გავათხოვე, ყველაზე უმცროსი თბილისში სწავლობს. შეიძლება ითქვას, შვილების დაზრდა დავამთავრე, ახლა შვილიშვილებს ვმზრუნველობ. მათ უფრო მეტი შრომა სჭირდებათ, ვიდრე შვილებს. დიდი მადლობელი ვარ პარტიისა და მთავრობისა, დახმარებას არ გვაკლებდნენ. ახლაც ზრუნავენ ჩვენთვის. რა თქმა უნდა, ძნელი იყო ამდენი შვილის გაზრდა, მაგრამ დღეს უკვე ყველა მუშაობს და ჩვენი საქმეც კარგად მიდის. ყველა გამრჯე და პატიოსანია, გნებავთ, ჰკითხეთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს და ისიც გეტყვით, რომ ჩემი შვილები ყველაფერში მარჯვენი არიან.

— როცა მთელი ოჯახი ერთად შეიყრებით, ალბათ, დიდი ზეიმი გექნებათ?

— ყველა მშვიდობით დაგასწროთ ახალ წელს, კიდევ ოცდარვა აგვისტოს... ამ დღეებში ოჯახში დიდი დღესასწაულია, გავშლით სუფრას და ისეთი ლხინი და სიხარული გვაქვს, რომ მეტი არ შეიძლება...

შუშანა და ტარიელ ინასარიძეების უფროსი შვილებიც მრავალშვილიანები არიან, უფროსი — ვარდენი საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მშრომელია:

— მშობლების მზრუნველობით ვიზრდებოდით ტკბილად, შეხმატკბილებულად, ჩვენთან ყოველთვის სუფევდა და სუფევს მხიარული განწყობილება. ახლა ზოგი ცალკე ვცხოვრობთ, ზოგი კი კვლავ ძიროჯახშია. სამეურნეო საქმეებში ყველანი ვმონაწილეობთ. ხუთი შვილი მყავს. ჩვენც ვუნერგავთ შვილებს შრომის სიყვარულს. დიდია მისი მადლი, უამისოდ მრავალშვილიანობას აზრი არ ექნებოდა. ამის მაგალითია ჩვენთვის მშობლები. მათ ყველა დიდ პატივსა ვცემთ, ვეთაყვანებით.

ინასარიძეების უმცროსი ქალიშვილი ნანი პოლიგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტია. დასვენების დღეებს სოფელში ატარებს:

— მიხარია, რომ მრავალი და-ძმის და ვარ. ახლა როცა ჩემს და-ძმებზე გესაუბრებით, უნებურად გამახსენდა ავტობუსში მოსმენილი ასეთი ამბავი. ვიღაც ქალი დიდი გულისწუხილით ეუბნებოდა მეორეს, ერთი შვილი მყავს და ისიც ცუდი ქცევის ბიჭებში გაერია და დავიღუპე ქალიო. ჩემს და-ძმებზე კი აუგს ვერავინ იტყვის, ვერც მშობლები და ვერც სხვა ვინმე. ამითაც ვამაყობ.

დიახ, ინასარიძეების ოჯახში შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლეა. დიდ ოჯახში სითბოც მეტია. პატარა გოგო-ბიჭები ისე ლაღად თამაშობენ, ისე შეხმატკბილებულად, ისე სიამით და სიყვარულით, რომ გული გაგინათდებათ.

დასასრულს ინასარიძეების და არა მარტო მათი, არამედ მთელი სოფლის სატკივარზე გვინდა გავამახვილოთ ახალციხის რაიონის ხელმძღვანელების ყურადღება. ეს არის სოფელში მისასვლელი გზის უვარგისობა. აკი თქვა კიდეც გმირმა დედამ:

— „გზა არა გვაქვს, ჩვენი დარდი ეგ არისო". ჩვენი აზრით, სხვა რომ არ იყოს რა, მარტო ინასარიძეების მრავალშვილიანი და მრავალშვილიშვილიანი ოჯახისათვის ღირს სოფელში გზის კეთილმოწყობა.

ახლა ორიოდე სიტყვა მთის კორტოხზე ლამაზად წამოსკუპებული სოფლის შესახებ. ამაზე აქ და მთელ მესხეთშიც მშვენიერი ლეგენდა დადის. თურმე ძველად ბედუკუღმართ დროში, როცა მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოს და მის მიწა-წყალზე დათარეშობდნენ, მესხეთის პატარა სოფელში ურჯულოები შეიჭრნენ. ერთ ოჯახში ათ ძმას მთელ მესხეთში სილამაზით განთქმული და ჰყოლიათ. გადამთიელებს მოუთხოვიათ: ან რჯული დასთმეთ, ან დაო! ძმებს ელვის სისწრაფით აუსხამთ იარაღი, მათ მეზობლებიც მიშველებიან და გაერთიანებული ძალით ამოუჟუჟავთ მომხდურები. შემდეგ შურისძიებისათვის რომ თავი აერიდებინათ, დედა-ბუდიანად აყრილან და ამოსულან აქ, მესხეთის ერთ-ერთ მაღალ მთაზე. ასე დაიბადა სოფელი — ანდა.

ხომ ლამაზი ლეგენდაა? ის ჩვენი წინაპრების ვაჟკაცობასა და ნებისყოფის გაუტეხელობაზე მეტყველებს, ისმენ ამ გმირულ ამბავს და ფიქრობ, აი ასეთი ძალგულოვანი წინაპრების შთამომავალია გმირი დედა შუშანა და ტარიელ ინასარიძეების მრავალშვილიანი, მრავალშტოიანი ოჯახი.

ინასარიძეების მრავალშტოიან ოჯახში ყოფნის შემდეგ სადაც არ უნდა ვიყოთ, თან დამყვება ფიქრი, რომ დიდ ოჯახში სითბო და სიხარული, სიტკბო და სიყვარულიც მეტია. ასეთი ოჯახი კი სოფლის ღონე და ერის ძლიერების ბურჯია.

**შალვა გულუა**

ახალციხის რაიონი,
სოფელი ანდა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთგულება

ავადმყოფს შუბლზე სიმწრის ოფლი წვეთებად ეყარა. მწვავე ტკივილებისაგან შუბლი ეჭმუხნებოდა, მაგრამ ქირურგის იმედიანმა, რწმენით აღსავსე სიტყვებმა გულში იმედის შუქი გაუციმციმა, თითქოს ტკივილიც ისე ძალიან აღარ აწუხებდა...

მართლაც გაამართლეს ილია ევგენიძის იმედი თბილისის მეცხრე საავადმყოფოს მკურნალებმა. ქირურგიულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ორივე თვალით ბრმა, ცალი ფეხით კოჭლი ავადმყოფი მეორედ გადაურჩა სიკვდილს. დიახ, თბილისელმა მედიკოსებმა სიკვდილის კლანჭებს რომ გამოსტაცეს, ეს მეორე გადარჩენა იყო, მაგრამ პირველად? პირველად როდისღა გადარჩა?

ურიგო არ იქნება მკითხველის გულში გაჩენილი ამ შეკითხვის მოკლე პასუხის მაგივრად თვალი გავადევნოთ ილია ევგენიძის ცხოვრების საინტერესო, შინაარსიან გზას, რომელიც იმ ავადმოსაგონარი ომის ლაბირინთებში იხლართება და, ბოლოს, მშვიდობიან დროს გურიის ლამაზ სოფელში — მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში გრძელდება.

...1942 წლის სუსხიანი შემოდგომა იდგა. საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ილია ევგენიძე საკუთარი სურვილით წავიდა ფრონტზე და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. უფროსი სერჟანტი მალე ბატალიონის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

პოლტავა — დობელი — ასე დაიწყო ჭაბუკის საბრძოლო გზა. ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. მამაცი მებრძოლი დობელში დაიჭრა. დღეს მრავალი ორდენის და მედლის მფლობელი სწორედ მაშინ დააჯილდოვეს პირველი მედლით. ყველაზე მძაფრი ბრძოლა კი კენისბერგში გადაიხადა. „ძვირფასო დედა და მამა, ჩემო ქსენია და პატარა გულიკო, — სწერდა მშობლებს, რძალსა და ძმისწულს 22 წლის მებრძოლი, — დღითიდღე წინ მივიწევთ. გერმანელები თანდათანობით ყრიან ფარხმალს და გვნებდებიან, ისინი სულ მალე მიიღებენ საბოლოო პასუხს მუხანათური თავდასხმისათვის. რა ბედნიერი იქნება ის დღე, როცა გამარჯვებას ვიზეიმებთ, მეც დაგიბრუნდებით და ყველანი ერთად ვიშრომებთ".

ამის შემდეგ ფრონტიდან წერილი აღარ მოსულა ევგენიძეების ოჯახში. რამდენიმე თვის შემდეგ ილია ევგენიძე ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა საკუთარ ოჯახში, მაგრამ ვერ შეისრულა სანუკვარი სურვილი — თვალით ვერ იხილა მშობლები და ახლობლები.

კენისბერგისათვის გამართული ბრძოლები უფრო გამძაფრდა. ილიას კარგად ახსოვს, შეტევაზე რომ გადადიოდნენ. ისიც ახსოვს, თუ როგორ უსწორდებოდა მტერს, როგორ აფეთქდა მის წინაშე ჭურვი და თვალთ დაუბნელდა. დიახ, ვერაფერს ხედავდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ცალი ფეხი ველარ დაიმორჩილა, გრძნობა დაკარგა. გონს რომ მოვიდა და იკითხა, სადა ვარო, ლენინგრადის საავადმყოფოში აღმოჩნდა. თვალებზე ხელს მოისვა. ორი ფოსო დახვდა თავისი მაყვალიფით შავი თვალების ადგილზე, ფეხები მოისინჯა, — ცალი ბარძაყშივე ჰქონდა მოკვეთილი და დაჭრილი ლომივით აბღავლდა. მის სასთუმალთან ცრემლად იღვრებოდა 21 წლის ესტონელი გოგონა ოლია იაქსონა, რომელსაც როგორც ექთანს, ილიასათვის მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული. გოგონამ



ილია ევგენიძე ოჯახის წევრებთან

საკუთარი თვალით ნახა როგორ მოიყვანეს საავადმყოფოში მძიმედ დაშავებული ლამაზი ვაჟკაცი, როგორ ამოულეს ორივე თვალი და მოჰკვეთეს ფეხი,. რათა სიცოცხლე ეხსნათ.

ოლია ღამეებს ათენებდა ილიას სანოლთან. მეომრის ქართულად ამოკვნესა, მისი „ვაიმე დედა“ გოგონას გულის სიღრმეში სნვდებოდა, ებრალებოდა ვაჟკაცი. ექთანმა გოგონამ ვერც კი გაიგო, როგორ გადაიზარდა ეს სიბრალული სიყვარულად. ამ სიყვარულმა გადაარჩინა სიკვდილს რწმენადაკარგული კაცი, ამ სიყვარულმა დაუბრუნა მას სიცოცხლის სურვილი. სიყვარულმა მიატოვებინა სიცოცხლით სავსე ლამაზ გოგონას საყვარელი ლენინგრადი, ცოლად გაჰყვა ილია ევგენიძეს, საქართველოში გამოემგზავრა და მშობლებს თვითონ მიუყვანა 23 წლის ინვალიდი ვაჟკაცი.

ალბათ წარმოიდგინეთ, როგორ შეხვდნენ ილიას და მის მეუღლეს მახლობლები, მეზობლები, მთელი სოფელი... მერე, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, სოფელში მითქმა-მოთქმა დაიწყო: ასეთი ლამაზი გოგო, სრულიად ჯანმრთელი ამ მძიმედ მოსავლელ ინვალიდს არ გაუჩერდება, ბოლომდე არ უერთგულებსო, მაგრამ...

ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ოლია იაქსონამ ნამდვილი ქალობა გამოიჩინა, მეუღლეს ერთგულად გაუწია ულელი. შრომა და დარდი შეუმსუბუქა დედამთილ-მამამთილს. ქართული ენაც შეისწავლა. რამდენიმე წლის შემდეგ, ტრადიციისამებრ, ევგენიძეების ოჯახში თოფი გავარდა — ვაჟიშვილი დაიბადა. ბიჭს რაინდი დაარქვეს. ვაჟს ქალი მოჰყვა და ცხოვრებამ თავისი გზით დაიწყო სვლა.

ოლია იაქსონამ ბოლომდე უერთგულა საყვარელ მეუღლეს და ორი შვილი აღუზარდა სამშობლოს. მათ შორის უფროსი — რაინდი მოვლა-პატრონობას რომ არ აკლებს სახელოვან მამას, ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია და სოფელში აგრონომად მუშაობს. ლალიმ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკური განათლება მიიღო. ილია ევგენიძის შვილები დაოჯახდნენ. მამა კმაყოფილია: — კარგი რძალიც გამომადგა და სიძეც კარგი შემხვდაო. ადამიანობით, კეთილშობილებით აღსავსე ესტონელი ქალი ახლაც შვილიშვილების აღზრდაში ეხმარება რძალს და ქალიშვილს.

და კვლავ ხმიანობს ევგენიძეების კერა, ხარობს მამული...

ბარაქალა, ესტონელო ქალო; დიდება, ასეთი შვილების მშობელო.

„თავისუფალ ერთა მძლე კავშირო ჭმურო“, ხალხთა მეგობრობის კერავ და ბურჯო!

ირინე ღლონტი





ეროვნული ბიბლიოთეკა

**მირიან მესტიაშვილი**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა
მთავარი ფსიქიატრი.

# ქალაბიჭა და ქალაჩუნა

ბავშვთა ფსიქონევროლოგებს ხშირად მოგვმართავენ მშობლები, რომლებიც შეწუხებული არიან იმით, რომ მათი გოგონა (ქალიშვილი) ყველაფერში ჰბაძავს ვაჟს (ჩაცმულობით, თმის ვარცხნილობით, ქცევის მანერით, ინტერესებით, თამაშით, აზარტით და სხვა). ზოგიერთი მშობელი კი, პირიქით, მძიმედ განიცდის თავის ვაჟიშვილის ქალური თვისებების გამოვლინებას.

ასეთ შემთხვევებში დარღვეულია სქესობრივი კუთვნილების განცდა და სწორი ფსიქოსექსუალური ორიენტაცია. გოგონების ქალაბიჭობას, ბიჭაჭუობას მასკულინიზაცია ეწოდება, ხოლო ბიჭების ქალაჩუნობას — ფემინიზაცია.

სქესობრივი კუთვნილების გრძნობა ძირითადად სამი წლის ასაკში მჟღავნდება. ოთხი წლის ბავშვმა უკვე იცის, რომ ის ბიჭია (ან გოგოა), მაგრამ ამ ასაკში მას ჯერ არა აქვს შეთვისებული სქესის როლი, სქესისათვის დამახასიათებელი ქცევის წესები. 4-5 წლის გოგონა სიამოვნებით ერთობა ბიჭური თამაშობებით, ხოლო იმავე ასაკის ბიჭი — თოჯინებით, სახლობანათი.

7 წლის ასაკში ბავშვთა უმრავლესობა ითვისებს ამა თუ იმ სქესისათვის დამახასიათებელ ქცევას, მაგრამ მაინც ტიპობრივად განსხვავებულ სქესობრივ თვისებებს ბავშვები 9-10 წლის ასაკში ამჟღავნებენ. აღნიშნულ ასაკში ბავშვი უკვე საბოლოოდ ითვისებს სქესის შესაფერ ქცევას და მოქმედებას. ამ პერიოდში მოსწავლეები სკოლაში ხშირად იყოფიან ორ ბანაკად: ბიჭები და გოგონები. ბიჭები გატაცებული არიან მოძრავი, ხმაურიანი და, კერძოდ, სამხედრო თამაშობებით, ჰბაძავენ კინოს გმირებს, გამოჩენილ სპორტსმენებს, უფრო უახლოვდებიან მამაკაცებს (მასწავლებელს, რომელიმე სექციის ხელმძღვანელს), გოგონები კი, პირიქით, ცდილობენ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ ქალ მასწავლებლებთან, ავლენენ ინტერესს რომანტიკული გმირების მიმართ და ა. შ.

ჩვეულებრივ პირობებში, როცა ბავშვის პიროვნება ნორმალურად ვითარდება, ბიჭი ჰბაძავს მამას, გოგონა — დედას. საღ ოჯახურ გარემოში დამკვიდრებულია მშობლების მიერ ბიჭის „მამაკაცური“ და გოგონების „ქალური“ ქცევის წახალისება. ბიჭებს უწონებენ „ბიჭურ“ ჩაცმულობას, თმის მამაკაცურად შეკრეჭვას, ვაჟკაცურ თამაშობებს, ძალას, მოქნილობას და სისწრაფეს, გამბედაობას, შეუპოვრობას; გოგონებს კი — ქალებისათვის შესაფერის თვისებებს, ქცევის მანერას, ჩაცმის სტილს.

მშობლების უმრავლესობა დროულად და სწორად იქცევა, მაგრამ მაინც გვხვდება სწორი ფსიქოსექსუალური ორიენტაციის დარღვევის შემთხვევები.

ბიჭებში ქალური თვისებების გამომუშავებას (ფემინიზაციას) ხელს უწყობს რამდენიმე გარემოება: ერთერთი ძირითადია მშობლებისა და უფროსი დების ზედმეტი მეურვეობა, ბიჭის ქცევაზე განსაკუთრებულად მკაცრი კონტროლის დაწესება, უფროსების მხრივ სქესისათვის დამახასიათებელი ქცევის უხეში დატუქსვა და ბიჭის ყოველგვარი აქტიობის დათრგუნვა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბიჭების გაანიზებულ, განებივრებულ აღზრდას, რაც იწვევს მათი კუნთოვანი სისტემის მოდუნებას, მშიშარობას, სიმფრთხალეს, დამოუკიდებლობის განუვითარებლობას. უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ბიჭების ჩამოცილება ხმაურიანი და მოძრავი თამაშობებიდან და მათი დაინტერესება გოგონების თამაშობებით. ბიჭების ფემინიზაციას ხშირად ხელს უწყობს ზოგიერთი დედის ემოციური სიცივე, მკაცრი მომთხოვნელობა და სწრაფვა, რაც შეიძლება მეტად დაუქვემდებაროს ბიჭის ხასიათი და ქცევა თავის ნებას და ამ ფონზე — მამის უმოქმედობა, ზედმეტი სირბილე, გადაჭარბებული ალერსი; ასეთ შემთხვევაში ბიჭი ორიენტაციას იღებს მორჩილ და მუდმივად დამთმობ მამაზე და ხდება პასიური, გაუბედავი, ყოყმანა, მფრთხალი. ბიჭების ფემინიზაციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზოგიერთი მშობლის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ბიჭი უნდოდათ და გოგო გაუჩნდათ ან პირიქით. მაგალითად, როცა ოჯახში ქალიშვილის მოლოდინში დაბადებულ ვაჟს ქალურად ზრდიან, როცა ბავშვს ნაძალადევად თავს ახვევენ სქესისათვის არადამახასიათებელ ქცევის სტილს, ინტერესებს (მაგალითად, — ზედმეტად ეფერებიან, აცმევენ ქალურად, უზრდიან ლოკონებს, აჩვევენ კოსმეტიკას, ულებავენ ფრჩხილებს, სისტემატურად მოითხოვენ ქალური საქმიანობის შესრულებას და სხვ.).

ფემინური ბიჭები გამოირჩევიან სიარულის, ჟესტიკულაციის, მიმიკის და მეტყველების ქალური სინარნარით და სირბილით,

ვა გარეგნული ნიშნები აშკარად იპყრობს გარშემომყოფთა ყურადღებას და ხშირად დამცინავ ღიმილსაც იწვევს.

ბავშვთა ფსიქოსექსუალური ორიენტაცია უმეტესად ირღვევა იმ ოჯახებში, სადაც მშობლები, ნებით თუ უნებლიედ, ბავშვებში ჰბადებენ ან განურჩევლობას მოწინააღმდეგე სქესის მიმართ, ანდა ზედმეტ ინტერესს საკუთარი სქესის წარმომადგენლის მიმართ. ასეთ გადახრებს ვხვდებით ოჯახებში, სადაც მშობლები ერთ საწოლში იძინებენ ბავშვებთან ერთად, — ხანაობენ ბავშვების თანდასწრებით, ავლენენ გადაჭარბებულ ალერსს (ხშირი კოცნა, მოჩვევა). აღნიშნულ პირობებში ირღვევა ნორმალური სქესობრივი განვითარება და ბავშვებს უქვეითდებათ სქესობრივი ლტოლვა, ანდა ამჟღავნებენ ლტოლვის გაუკუღმართების ნიშნებს.

რაც შეეხება გოგონების გაქალბიჭებას, ბიჭაჭურობას (მასკულინიზაციას) მასაც მსგავსი ფაქტორები განაპირობებენ, მხოლოდ საწინააღმდეგო ზემოქმედებით.

სწორი არ არის, როცა ბიჭების ქალაჩუნობის და გოგონების ქალაბიჭობის ტენდენციას მხოლოდ მოდის მექანიზმებით ხსნიან. მოდა ცვალებადია, და არა ისე მყარი და სტაბილური, როგორც ზემოთ განხილული ტენდენცია. ჩვენი მოზარდების უდიდესი უმრავლესობა მოდას ზომიერად და მისაღებად მისდევს და თუ მათი ნაწილი მოდას ამახინჯებს და ამისი მიზეზები ან აღზრდის შეცდომებშია, ანდა ბიოლოგიურ (ავადმყოფურ) გადახრებში.

გარკვეულ შემთხვევებში ბიჭების მიერ ქალური თვისებების და გოგონების მიერ მამაკაცური ნიშნების გამოვლინება განპირობებულია სქესის ფორმირების ზოგიერთი გენეტიკური, ჰორმონალური და მორფოლოგიური აშლილობებით და ზოგჯერ ფსიქიური დაავადებით...

სქესის კუთვნილების დარღვევას ზოგ შემთხვევაში საფუძვლად უდევს ფეხმძიმობის დროს დედის მიერ მიღებული ზოგიერთი მედიკამენტის ზემოქმედება.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, თავისი სქესობრივი კუთვნილებიდან ფსიქოლოგიური გასვლა ხშირად განაპირობებს მძიმე ფსიქიურ აშლილობას და პიროვნულ ტრაგედიას. სქესის გრძნობის დაკარგვა იწვევს პიროვნების ღრმა შეცვლას, საზოგადოებაში თავისი ადგილის გაურკვევლობას, ახლობლების და მეგობრების მიმართ სალი დამოკიდებულების დაკარგვას, იმედგაცრუებას, დეპრესიულ მდგომარეობას. აღნიშნული გართულებების შედეგად, ასეთ პიროვნებებში ხშირია ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და სხვა დანაშაულებები.

საბოლოოდ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ დროული სამედიცინო და პედაგოგიური ზემოქმედებით, აღზრდის მეთოდების გამოსწორებით შესაძლებელია ფსიქოსექსუალური ორიენტაციის დარღვევის გამოსწორება და შემდგომში მასთან დაკავშირებული მძიმე პიროვნულ და სოციალურ გართულებათა აცილება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარგისი



ალბათ არცერთი ქვეყნის კინოსამყაროს არ განუცდია თავისი არსებობის მანძილზე ისეთი ცრემლიანი დანაკლისი, როგორიც განიცადა შარშან ინდურმა კინომ. მთელმა ინდოეთმა დაიტირა ერთიანი გლოვით „ინდური კინოხელოვნების პირველი და მშვენიერი ლედი“, როგორც მას თვალსაჩინო კინოკრიტიკოსები უწოდებდნენ. ასე მხოლოდ დედას ტირიან შვილები, ღვიძლ დედას, ასაკის განურჩევლად. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ორმოცდაათიანი წლების მიწურულს, როდესაც დაიბადა აზრი შექმნათ ფილმი „დედა ინდოეთი“, ნარგისი უპრეტენზიოდ მიიწვიეს მთავარ როლზე. ამას წინ უძღოდა ეკრანული სახეები ინდოელი ქალისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ნიჭიერი მსახიობის პოპულარობასა და სიყვარულს. მისი სიწმინდე და სულიერი სითბო წლობით ასაზრდოებდა და ათბობდა ათასობით ობოლს, ღარიბსა და ღატაკს, მხნეობას მატებდა მებრძოლებს, თანაუგრძნობდა გამიჯნურებულ წყვილებს; „მისი სარის* შრიალზე მწიფდა ნაყოფი, ნიავი წყვეტდა შარი-შურს“.

ფილმ „დედა ინდოეთში“, ნარგისი გლეხის ქალს ასახიერებდა. მის სუსტ მხრებზე იწვა ყველა უამთასვლა და ტკივილი ინდოელი ქალისა. სწორედ ამ სახის განსახიერებით გაიკვლია გზა მსახიობმა მსოფლიო კინოხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ჯილდოს — „ოსკარის“ მოსაპოვებლად.

ნარგისი (ფატიმა რაშიდი) დაიბადა 1929 წელს, ცნობილი მომღერლის ჯ. ბაის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტში. მისი კინემატოგრაფიული გზა ხუთი წლის ასაკიდან დაიწყო. პირველი დიდი წარმატება კი თოთხმეტი წლისას ხვდა წილად, როდესაც მთავარი როლი განასახიერა ფილმ „ბედში“. როლს როლი მოჰყვა... მისმა მშვენიერმა კინემატოგრაფიულმა სახიერებამ ახალი ვარსკვლავი ამოაბრწყინა ინდურ კინოგალაქტიკაში. სწორედ მან გაابედვინა ინდოელ კინემატოგრაფისტებს „რომეო და ჯულიეტას“ ეკრანზე გადატანა. ამჯერად, სათნო ჯულიეტას ხანმოკლე სიყვარულმა, ტრადიციული მელოდრამატული და მუსიკალური ფილმების გვერდით დაიდო ბინა, მაგრამ, რითაც შემორჩა ფილმი ინდურ კინოს ისტორიას, ეს იყო მთავარი გმირის შემსრულებლის — ნარგისის ოსტატობა.

საბჭოთა მაყურებელი ნარგისს პირველად რიტას სახით გაეცნო ფილმ „ავარაში“ (1951). სწორედ აქედან მოყოლებული, მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს მსახიობისა და ეკრანული გმირის სახელები და, დღემდე, რიტა-ნარგისად დარჩა ჩვენს მეხსიერებაში.

ცნობილი „ინდოელი ჩაპლინის“ — რაჯ კაპურისა და ნარგისის დუეტი მეორე ფილმში („ბატონი 420“) უფრო სრულად და შინაარსიანად გამოიკვეთა. უბრალო გლეხის გოგონას ვიდიას და ღარიბი რაჯის სიყვარული მარტოოდენ სიმღერა როდი იყო ამ მარადიულსა და უბერებელ გრძნობაზე. ეს მწარე და დამაფიქრებელი ამბავი გახლდათ სპეტაკი სიყვარულისა, რომელიც მკაფიოდ წარმოისახა ქვეყნის მძიმე სოციალურ ფონზე.

ნარგისის ოსტატობითა და სინატიფით დაინტერესდნენ საბჭოთა კინემატოგრაფისტებიც და ერთობლივ ფილმში, რომელსაც „მოგზაურობა სამ ზღვას იქით“ ეწოდება, იგი ჩამპის როლზე მიიწვიეს.

ნარგისმა ადრეული ასაკიდან დაიწყო კინოში მოღვაწეობა და ადრევე დაშორდა მას. ეს მტკივნეულად განიცადა ინდურმა კინომ. დღემდე ამოუხსნელია ამ ფაქტის საიდუმლო, სარის შრიალთან ერთად თან რომ წაიყოლა მსახიობმა. ის კი ცხადზე უცხადესია, რომ ნარგისმა ჩვენში ცრემლით მოიტანა სითბო და სიამე, რომელიც სწორედ უცრემლოდ გველვრებოდა მისგან, დიდებსა და პატარებს.

ნარგისმა ერთ-ერთი ბოლო ეკრანული როლი ფილმ „მისს ინდიაში“ განასახიერა. ჭეშმარიტად, ნარგისი წლების განმავლობაში დარჩება მაყურებელთა გულში, როგორც „ინდოეთის მშვენიერი ქალბატონი“, მარად ცოცხალი, უბერებელი და ცრემლმორეული.

გონდო გაგნიძე

---

X). სარი — ინდური კაბა.

# მოლუჯი შალი





ასეთი შალი შეიძლება მოქსოვოთ სხვადასხვა ფერის 300 გრამი ნარჩენი ძაფებისაგან. დაგჭირდებათ $3_1/_2$ (სამნახევარი) მილიმეტრიანი ყაისნაღი.





## ნაქსოვი კვადრატის ნიმუში

გამოქსოვეთ 4 ჰაეროვანი („ვოზდუშნი“) თვალი, და მოათავსეთ ნახევართვლების რგოლში. ყოველი შემდეგი რგოლი სამი ჰაეროვანი თვლით იწყება, რომლებიც მუშაობის პროცესში ერთ გადადებულთვლიან („ნაკიდი“) სვეტად ითვლება.

პირველი რგოლი (წინა): 3 ჰაეროვანი თვალი, ორი სვეტი რგოლში გადადებელი თვლით. გაიმეორეთ სამჯერ* 3 ჰაეროვანი თვალი, 3 სვეტი რგოლში გადადებული თვლით.* შემდეგ მოდის 3 ჰაეროვანი თვალი. ეს და ყველა შემდგომი რგოლი ნახევართვლით მოათავსეთ წინა წრის მესამე ჰაეროვან თვალში. სამუშაო მეორე მხარეზე შეაბრუნეთ.

მე-2 რგოლი (უკუღმა): 3 ჰაეროვანი თვალი, სამ ჰაეროვან რკალში — 2 სვეტი გადადებული („ნაკიდ“) თვლით. 3 ჰაეროვანი თვალი და სამი სვეტი გადადებული თვლით გაიმეორეთ სამჯერ*. ერთი ჰაეროვანი თვალი, შემდეგ რკალში — სამი სვეტი გადადებული თვლით. 3 ჰაეროვანი თვალი და

## ქსოვის ტექნიკა

1. ჰაეროვანი თვლების ჯაჭვი: ძაფის მოკლე ბოლო მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე გადაიღეთ და დაიჭირეთ. ყაისნაღი ძაფს ქვემოდან ამოუდეთ და დაატრიალეთ. შემდეგ ყაისნაღი ისევ ამოუდეთ ძაფს ქვემოდან — გამოსდეთ და ყაისნაღით თვალში გაატარეთ. შემდეგი თვლებიც ასე ამოიღეთ; კვლავ გამოსდეთ ყაისნაღი ძაფს და იგი შემდგომ თვალში გაატარეთ.

2. ნახევარი თვალი: ყაისნაღი თვალში შეიტანეთ, ძაფს გამოსდეთ და ჯაჭვის იმ თვალში გაატარეთ, რომელიც ყაისნაღზე გაქვთ.

3. სვეტი გადადებული („ნაკიდი“) თვლით: გადაადეთ ძაფი ყაისნაღს, შეიყვანეთ თვალში, გამოსდეთ ძაფს, გამოიტანეთ თვალში, ისევ გადაადეთ ყაისნაღს ძაფი და გაიტანეთ იგი ორ თვალში, ისევ გადაადეთ ძაფი, და გაიტანეთ იგი ორ ბოლო თვალში.

4. რკალი — ეს გახლავთ ჰაეროვანი თვლებით შექმნილი სიცარიელე.

5. კუთხის რკალები — ეს არის სიცარიელე კვადრატის ოთხივე კუთხეში.

6. XX — თვლების ჯგუფი, რომლებიც ვარსკვლავებს შუა არის მოქცეული უნდა გაიმეოროთ მოცემული რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი გადადებულ-თვლიანი სვეტი* შემდეგ ერთი ჰაეროვანი თვალი. შეაბრუნეთ სამუშაო მეორე მხარეს.

მე-3 რ გ ო ლ ი (წ ა ლ მ ა): 3 ჰაეროვანი თვალი, რკალში —2 სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალით გაიმეორეთ სამჯერ* კუთხის რკალში — სამი სვეტი გადადებული თვლით, 3 ჰაეროვანი თვალი და სამი სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი მომდევნო რკალში — 3 სვეტი გადადებული თვლით, ჰაეროვანი თვალი*, კუთხის რკალში — სამი სვეტი გადადებული თვლით, 3 ჰაეროვანი თვალი და 3 სვეტი გადადებული თვლით, 1 ჰაეროვანი თვალი.

განაგრძეთ მუშაობა, თან ყოველ რგოლში ცვალეთ ძაფის ფერი, ვიდრე კვადრატის სიმაღლე 6,5 სმ-ს არ მიაღწევს.

### სამკუთხედის ქსოვის ნიმუში

გამოქსოვეთ 4 ჰაეროვანი თვალი და მოათავსეთ იგი ნახევართვლების რგოლში.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ი გ ი: 4 ჰაეროვანი თვალი, რგოლში — 3 სვეტი გადადებული თვლით. 3 ჰაეროვანი თვალი და 3 სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი, ერთი სვეტი გადადებული თვლით. შეაბრუნეთ სამუშაო მეორე მხარეზე.

მ ე-2 რ ი გ ი: 4 ჰაეროვანი თვალი, პირველ რკალში 3 სვეტი გადადებული თვლით. ერთი ჰაეროვანი თვალი, კუთხის რკალში — 3 სვეტი გადადებული თვლით, 3 ჰაეროვანი თვალი და სამი სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი: რკალში, რომელიც წარმოქმნილია პირველი რიგის 3 ჰაეროვანი თვლით: 3 სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი და ერთი სვეტი გადადებული თვლით, შეაბრუნეთ სამუშაო მეორე მხარეზე.

მ ე-3 რ ი გ ი: 4 ჰაეროვანი თვალი, პირველ და მეორე რკალში სამ-სამი სვეტი გადადებული თვლით და ერთი ჰაეროვანი თვალი. კუთხის რკალში — 3 სვეტი გადადებული თვლით, 3 ჰაეროვანი თვალი და 3 სვეტი გადადებული თვლით. მომდევნო რკალში — 3 სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი. რკალში, რომელიც წარმოქმნილია მეორე რიგის ჰაეროვანი თვლებით — 3 სვეტი გადადებული თვლით, ერთი ჰაეროვანი თვალი და ერთი სვეტი გადადებული თვლით.

ნ ა ქ ს ო ვ ი ს ს ი მ კ ვ რ ი ვ ე: ერთი კვადრატი უდრის 6,5 X 6,5 სმ-ს.

### სამუშაოს აღწერა

მოქსოვეთ 78 ცალი კვადრატი და 18 ცალი სამკუთხედი. შემდეგ შეაერთეთ. კვადრატები სამკუთხედების უკუღმა მხრიდან მიაკერეთ, აქ მოცემული სქემის მიხედვით. შალის ორი მხარე გააწყვეთ სხვადასხვაფერის 25 სმ-სიგრძის ფუნჯებით.

ასეთი კვადრატებისაგან შეიძლება დივანის პატარა ბალიშისპირის შეკერვაც.

მ. გაი-გულინა

# წინასაახალწლო განწყობილება

## საახალწლო სუფრა

### ვაშლიანი ღვეზელი

აიღეთ სამი კვერცხი (თავის ცილიანად), ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი და გააკეთეთ გოგლიმოგლი. დაუმატეთ 200 გრამი რბილი კარაქი. კარაქი გოგლიმოგლში კარგად გათქვიფეთ, დაუმატეთ ორი ქილა არაჟანი, ერთი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა და ეს ყველაფერი ერთმანეთში კარგად აურიეთ. შიგ ცოტ-ცოტა, თანდათანობით ჩაყარეთ პურის ფქვილი და თან ურიეთ, რომ კარგად გაიხსნას. როცა კოვზით მორევა გაგიჭირდებათ (ე. ი. როცა გასქელდება), ცომი ფქვილმოყრილ ფიცარზე გადმოიტანეთ, ცოტ-ცოტა ფქვილი კიდევ შეაზილეთ და მიღებული ნაზი ცომი ორად გაყავით ( ერთი გუნდა მეტი უნდა იყოს მეორეზე).

მზად უნდა გქონდეთ ვაშლის პიურე, რომელიც ასე კეთდება: აიღეთ ორი კილოგრამი ვაშლი („ანტონოვკა“), გაფცქვენით და ჩაჭერით ქვაბში. დაასხით ერთი-ორი სუფრის კოვზი წყალი და დადგით ძალიან ნელ ცეცხლზე. როცა ჩაითუთქება, ხის კოვზით ამოსრისეთ და ჩაყარეთ ნახევარი კილოგრამი შაქრის ფხვნილი. ვაშლი წყალს მოიყენებს. რომ არ მიიწვას, წყალი ძალიან ნელ ცეცხლზე უნდა ამოშრეს. წყლის ამოშრობის შემდეგ ქვაბი გადმოდგით, რომ გაცივდება შიგ ჩაფხიკეთ ცოტა ლიმონის კანი (თუ ლიმონი არა გაქვთ, უყავით ვანილი — თქვენი გემოვნებით) და მიიღებთ ვაშლის პიურეს.

შუაზე გაყოფილი ცომიდან დიდი გუნდა ტაფაზე გააბრტყელეთ, ზემოდან თანაბრად წაუსვით ვაშლის პიურე, შემდეგ მეორე (მომცრო) გუნდას სულ ცოტა ფქვილი დაუმატეთ და იმ ზომაზე გააბრტყელეთ, რომ ტაფაზე მყოფ დიდ გუნდას გადაეფაროს. ცომს ფქვილში ამოვლებული ხელი დანით გვერდები ისე შემოუკეცეთ, რომ გამოცხობის დროს ვაშლის პიურე გარეთ არ გამოვიდეს. ერთი კვერცხის გულს დაუმატეთ ცოტა მაწონი ან წყალი, ან რძე და ტაფაზე მყოფ ცომს ზემოდან წაუსვით, შემდეგ ტაფა ღუმელში შედგით (ცეცხლი საშუალო ჯობს).

ქუჟუნა წერეთელი

### გოზინაყი

აიღეთ 500 გრ ნიგოზი (სასურველია, თეთრი და სალი იყოს), ლებნები დანით თხლად დაჭერით, შემდეგ ტაფაზე ოდნავ მოხალეთ, ისე რომ არ დაწითლდეს, გააგრილეთ, სინზე დაყარეთ და ლაბერტყეთ, თან სული შეუბერეთ, სანამ კანი სულ არ გაეცლება.

ტარიან, ღრმა სქელძირიან ტაფაზე მოათავსეთ 250 გრ თაფლი და ცეცხლზე შედგით. დუღილის დროს თაფლი აქაფდება რომ არ გადმოვიდეს, რამდენიმე წუთით გადმოდგით, შემდეგ ისევ შედგით. როცა თაფლი დაცხრება და მშვიდად დაიწყებს დუღილს, რამდენიმე წვეთი კოვზით ამოიღეთ და ლამბაქზე დააწვეთეთ. აცალეთ გაციება თუ წვეთი თითებს შუა ცომივით აგორდა, დროა ნიგოზი ჩაყაროთ. ხის კოვზი სულ ხელში გეჭიროთ და გამუდმებით ურიეთ. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მოაყარეთ

ერთი მუჭა შაქრის პუდრი, ან დანაყილი შაქარი, კიდევ კარგად აურიეთ და ტაფა ცეცხლიდან გადმოდგით. გოზინაყის მთელი მასა წინასწარ გარეცხილ სველ ფიცარზე ან მომინანქრებულ სინზე გადაიტანეთ და კოვზით კარგად მოასწორეთ — გააბრტყელეთ. გაციებული გოზინაყი, რომ არ დაგემსხვრეთ, თბილი დანით დაჭერით.

## ინდაურის საცივი

საცივი წმინდა ქართული — ეროვნული კერძია. ადრე საცივს მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ამზადებდნენ, ახლა კი აღმოსავლეთშიც გემრიელად მიირთმევენ.

არსებობს საცივის დამზადების რამდენიმე წესი. გთავაზობთ ერთ მათგანს, რომელიც უფრო ქალაქ ადგილებშია გავრცელებული.

საშუალო სიდიდის დაკლული მსუქანი ინდაური გავპუტოთ და რაც შეიძლება ფაქიზად გავასუფთაოთ, გავრეცხოთ, მერე მოდიდო ქვაბში ხალვათად მოვათავსოთ, დავასხათ ცივი წყალი და შევდგათ მოსახარშად. როგორც კი წამოდუღებას დაიწყებს, გულდაგულ მოვქაფოთ. გვახსოვდეს, ბულიონი გამჭვირვალე უნდა გამოვიდეს.

სანამ ინდაური იხარშება, წვრილად დავკეპოთ 600 გრამი კარგი ჯიშის (სასურველია „ქართული") ხახვი, მოვათავსოთ ღრმა ტაფაზე. ინდაურის ხარშვის პროცესში ბულიონს მოვხადოთ ცხიმი (ცოტა ბულიონიც რომ შეჰყვეს, არა უშავს), დავასხათ ხახვს და ვშუშოთ დაბალ ცეცხლზე დიდხანს, დარბილებამდე. ვეცადოთ არ შეწითლდეს.

თუ ინდაური ძალიან მსუქანია, მოხარშვამდე მუცლიდან ამოვაცალოთ ქონი, გადავადნოთ და ამ ქონში ვშუშოთ ხახვი. თუ ინდაური მსუქანი არ არის, ხახვი კარაქშიც შეიძლება მოვშუშოთ.

600-700 გრამი ნიგოზი 2-3-ჯერ გავატაროთ ხორცის საკეპ მანქანაში. კარგად დავნაყოთ 2,5 ჩაის კოვზი ხმელი ქინძის თესლი, 5-6 კბილი ნიორი, წითელი პილპილი, მიხაკდარიჩინი (გემოვნებით) და ავურიოთ დანაყილ ნიგოზში, დავუმატოთ ორი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, თეთრი ძმარი (სასურველია, ძმარი იმდენი ვუყოთ, რომ ოდნავ კბენდეს), მარილი, მოშუშული ხახვი და გულდაგულ ავურიოთ. როცა ინდაური მოიხარშება, გამზადებულ საკაზმ მასას ნელნელა რევით დავუმატოთ იმდენი ბულიონი, დაახლოებით, საშუალო სისქის არაჟანივით რომ მივიღოთ; ჩავასხათ ძუის საცერში და კოვზის დახმარებით კარგად გავწუროთ, შევდგათ ნელ ცეცხლზე და რევით წამოვადუღოთ. ორი-სამი წუთის დუღილის შემდეგ შიგ წინდაწინ შებრაწული და დაჭრილი ინდაურის ნაჭრები ჩავაწყოთ და ერთი კიდევ წამოვადუღოთ.

## ხინკალი

გაცერით თეთრი პურის ფქვილი. ჩაახალეთ 1 კვერცხი და ცივი წყლით ოდნავ მაგარი ცომი მოზილეთ. შემდეგ სპეციალური საგორავით ან ბოთლით ცომი მაგიდაზე ან ფიცარზე გააბრტყელეთ, ჩაის თხელი ჭიქით თანატოლ ნაწილებად დაჭერით და კვლავ გააბრტყელეთ.

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 500 გრ ძროხის მსუქანი ხორცი. ხორცთან ერთად გაატარეთ 2-3 თავი ხახვი, 7-8 კბილი ნიორი და წიწაკა გემოვნებით. გამზადებულ ფარშს დაუმატეთ პილპილი, კვლიავი „ძირა" (ხევში გავრცელებული მცენარეა, კამის თესლსა ჰგავს), მარილი გემოვნებით და 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი. ხორცმა რომ წყალი კარგად შეიწოვოს, მიღებული მასა დაახლოებით 10 წუთს ხელით ზილეთ. წინასწარ გაბრტყელებულ ცომის ნაჭრებზე დადეთ თითო-ორი ჩაის კოვზი სატენი და ორივე ხელით შუა ადგილას თავი მოუკარით, რაც შეიძლება წვრილი ნაოჭებით (ხინკალს რაც მეტი ნაოჭი აქვს, მით უფრო ფასობს. მაგალითად შეიძლება ჰქონდეს 24,20, 16, 12 ნაკეცი), მერე ცომი გადაგრიხეთ, ზედმეტი თავი მოაგლიჯეთ და მრგვალი ფორმის ნაოჭიანი თავი თითით ოდნავ გააბრტყელეთ. შემდეგ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში ჩაუშვით. ხინკალი მაშინვე წყალში ჩაიძირება. ერთმანეთს რომ არ მიეწებოს, ქვაბი ქურიდან აიღეთ და რამდენჯერმე შეატრიალეთ. როცა ხინკალი ზევით ამოტივტივდება, უკვე მზადაა, მაგრამ ხორცი რომ კარგად მოიხარშოს, მაინც ადუღეთ კიდევ 3-5 წუთი. გამზადებული ხინკალი ფრთხილად ამოიღეთ ქაფქირით და ფრიალა თეფშზე ან ლანგარზე დაალაგეთ, სუფრაზე ცხელცხელი მიიტანეთ და თან შავი პილპილი მიაყოლეთ.

## კუჭმაჭი

ღორის, საქონლის ან ფრინველის კუჭმაჭი მოვხარშოთ, ცოტა მუცლის ქონიც შევახარშოთ, დავჭრათ წვრილად. წინასწარ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, წიწაკა, ქონდარი, ყვითელი ყვავილი, მარილი (გემოვნებით) კუჭ-მაჭში კარგად ავურიოთ. შეიძლება დაემატოს ბროწეულის მარცვლებიც. შეკმაზვისას კუჭმაჭი ცხელი უნდა იყოს.

## კუპატი

ღორის კუჭ-ნაწლავი ძალიან კარგად გარეცხეთ ჯერ ცივ წყალში, მერე — თბილში, რეცხვისას მოიშველიეთ სიმინდის ფქვილი. ბოლოს გაავლეთ ძმრიან წყალში. როცა ნაწლავები კარგად გათეთრდება და დაკარგავს სპეციფიურ სუნს, ნაწლავები ერთხელ კიდევ გადმოაბრუნეთ, ისევ გაავლეთ წყალში. გადაარჩიეთ ის ნაწლავი, რომელშიც კუპატი უნდა გაკეთდეს და ცალკე შეინახეთ. სასურველია საკუპატედ დიდი ნაწლავი შეარჩიოთ. დანარჩენი კუჭ-ნაწლავი, გულღვიძლი და ფილტვი მოხარშეთ, გადმოიღეთ დიდ თასზე და წვრილად დაჭერით. შეკმაზეთ: წიწაკით, ქონდრით, მარილით და ბროწეულით. საკუპატე ნაწლავი ისე დაჭერით, რომ საშუალო სიდიდის კუპატი გამოვიდეს.

გამზადებული კუჭ-ნაწლავი ჩატენეთ საკუპატე ნაწლავში და თეთრი ძაფით მოუკარით თავი. შეინახეთ გრილ ადგილას. თუ საშუალება გაქვთ, შებოლეთ. სუფრაზე მიტანის წინ კუპატი მთლიანად შეწვით და ცხელი მიირთვით.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე ცინარა ტერელაძის ნამუშევრები სერიიდან „მაკულო ჩემო".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ბ. ბანძელაძე, ნ. ბაშრინდაშვილი, ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ძვანია, პ. ძლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. ზალუტაშვილი, ლ. შეჭირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაშარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ხუციშ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 9 XI-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21XII-82 წ. ქაღალდის ზომა 60X 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.
ტირაჟი 126.100. შეკვ. 2665 უე 00510

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამწევრისი

შუაგულ ქართლში, ქარელიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს მე-VII საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი — სამწევრისი. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი მცირე ზომისაა, კარგად შერჩეული ადგილმდებარეობის წყალობით შორიდანაც კარგად მოსჩანს და ყურადღებას იქცევს თავისი ჰარმონიული პროპორციებითა და მოცულობათა დახვეწილობით.

როგორც გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს: „სამწევრისი ათცებს და მართლაც ატყვევებს მნახველს თავისი უბრალო და ნათელი სილამაზით. მისი ლაკონიური ფორმები არაჩვეულებრივად მეტყველია, პროპორციები უნაკლო, ტექნიკური შესრულება დიდოსტატური. საკვირველია სიმკაცრისა და სინატიფის ასეთი შეხამება“.

სამწევრისი მიეკუთვნება გუმბათიანი ეკლესიების ტიპს. შენობის გეგმა ჯვარს წარმოადგენს, რაც გარედანაც ნათლად არის გამოხატული. ტაძრის ბრტყელი ფასადები უაღრესად სადაა, მაგრამ თლილი ქვით ოსტატურად ამოყვანილი კედლები მათ მხატვრულ გამომსახველობას ანიჭებს.

ძეგლის კედლებზე ამოკვეთილი ორი წარწერა გვაუწყებს (აღმოსავლეთის ფასადზე), ამ მიდამოებში X ს. არხის გაყვანისა და (სამხრეთის ფასადზე) — ფეოდალ ფანასკერტელის (ციციშვილის) მიერ XV-XVI სს ეკლესიის შეკეთების შესახებ.

სამწუხაროდ 1940 წელს მიწისძვრის შედეგად ძეგლი საგრძნობლად დაზიანდა: თითქმის მთლიანად დაიწგრა მისი გუმბათი, კამარები, სამხრეთ და აღმოსავლეთ მკლავების კედლები.

დიდმა სამამულო ომმა ხელი შეუშალა სამწევრისის დროულად აღდგენას. 1950 წელს, ნიჭიერი არქიტექტორ-რესტავრატორის ლევან ხიმშიაშვილის პროექტით და ხელმძღვანელობით ძეგლზე დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც წარმატებით დასრულდა 1952 წელს. რესტავრაციის შედეგად ძეგლი მთლიანად აღსდგა ძველებური სახით.

VII საუკუნის ძეგლის გვერდით, სამხრეთით დგას XV-XVI საუკუნის პატარა ერთნავიანი სამარხი (აკლდამა), ქართული აგურით ნაშენი და ორნამენტული, სიუჟეტური შურენკეცებით მორთული, სოფელ სამწევრისის დასავლეთით აღმართულია ციხესიმაგრე, რომელიც თავისი მაღალი კედლებითა და კოშკებით მტკვრის ხეობას გადაჰყურებს.

ისე როგორც აკლდამა ეს ძეგლიც მიეკუთვნება XV-XVI საუკუნეებს და „ციციშვილების ციხედ“ არის ცნობილი.

ძეგლისადმი ყურადღება და ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ წლებში.

ირაკლი ზაქარიაშვილი



ნ/182

ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ